

გიორგი სოსიაშვილი, თათია მთვარელიძე

ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები ქართლის ჯანიშინის - ლევანის შესახებ

სტატიის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ამავე ჟურნალის 2024 წ. მე-2 ნომერში. გაგრძელებით დოკუმენტების პუბლიკაციას.

დანართი N1: ლევან ბატონიშვილის წერილი რომის პაპ კლემენტი XI-ისადმი

საარქივო იდენტიფიკატორი: ASPF, SOCG, vol. 564, f. 391r-391v.¹

1 ლევან ბატონიშვილის წერილის არსებობის შესახებ ინფორმირებული იყო მ. თამარაშვილი, თუმცა მან აღნიშნული წყარო ვერ მოიძია. მკვლევარი წერდა: „პროპაგანდის ერთი შენიშვნიდან ჩანს, რომ გიორგი მეფის ძმას ლევანს, ერანის მსაჯულთ-უზუცესს, რომს მიუწერია, მსურს კათოლიკობას შეეუერთდეთ. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი წერილი დაკარგულია. ამიტომ მისი მეტი არაფერი ვიცით. ვფიქრობთ, რომ ეს წერილი უნდა იყოს გაგზავნილი რომს 1707 წ., იმავე დროს, როდესაც მისმა შვილებმა დომენტი კათალიკოსმა და ქაიხოსრომ მისწერეს პაპს თავიანთი შეერთების სურვილი. არც ამათი წერილები გვაქვს. ხოლო ამათი ცოტა რამ ვიცით პროპაგანდის წერილებიდან.“ (თამარაშვილი, 2011, 305-306). დაკარგულად მიჩნეული ლევან ბატონიშვილის წერილი მიკვლეულ იქნა პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის (ASPF) ფონდში სახელწოდებით Scritture Originali riferite nelle Congregazioni Generali (SOCG), რომელიც 1044 საარქივო ტომს აერთიანებს. ფონდი მოიცავს დოკუმენტებს, რომლებიც კარდინალთა ყოველთვიურ საერთო შეკრებებზე განიხილებოდა. საარქივო ტომებში დაცულია სხვადასხვა ენაზე შესრულებული დოკუმენტები, როგორებიცაა: ეპისკოპოსების, მისიონერების, მეფეებისა და მთავრების წერილები, დესპანებისა და დელეგატების მოხსენებები, სინოდის აქტები, სამოციქულო ვიზიტების ამსახველი ჩანაწერები, მემორიები და სხვ. SOCG ფონდის საარქივო ტომებში დოკუმენტები ძირითადად განაწილებულია ე.წ. საქმეებად, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, კონკრეტულ საერთო შეკრებაზე განხილული საკითხების შესაბამისად. ლევან ბატონიშვილის წერილი მოთავსებულია SOCG ფონდის 564-ე ტომში, რომელიც 1708 წლის 2 ოქტომბერს, 12 და 26 ნოემბერსა და 17 დეკემბერს გამართულ საერთო კრებებზე განხილულ დოკუმენტებს აერთიანებს. ლევან ბატონიშვილის მიერ პაპის კლემენტი მეთერთმეტისადმი ქართულ ენაზე მიწერილი წერილი განთავსებულია ზემოხსენებული ტომის ff. 391r-391v ფურცლებზე. ლევან ბატონიშვილის წერილთან ერთად, ტომში მოთავსებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, მათ შორის, წერილის იტალიური თარგმანი (f. 390r-390v), საქმის შეჯამება (ff. 385r-389v), კრების გადაწყვეტილების ამსახველი ჩანაწერი [f. 398r] და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი - მისიონერ ალესიო მილანელის წერილი იტალიურ ენაზე [ff. 393r-394r], რომელიც ლევან ბატონიშვილის წერილის თანმხლები, ერთგვარი განმარტებითი დოკუმენტია. ყველა ეს წერილი კრავს საქმეს, რომელიც 1708 წლის 26 ნოემბერს განიხილა კარდინალთა საერთო კრებამ [f. 402v] და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო [f. 398r]. საარქივო დოკუმენტებს შორის ასევე არის კარდინალი ფაბრონისადმი 1706 წლის 28 დეკემბერს გაგზავნილი ერთი იტალიური წერილიც, რომელიც ინდოეთის მისიონერ ფელიჩე და მონტეჩედის უნდა

ფურცლების რაოდენობა: 1 f.; ფურცლის ორსავე მხარეს ნაწერი; ფურცლის ზომა: 215 x 305; ნაწერის ზომა: 175x275 (391r), 145x198 (391v). ხელწერა: მხედრული; შავი მელანი; 1 სვეტი; სტრიქონების რაოდენობა: 28 (f. 391r), 22 (f. 391v); ხელნაწერი იკითხება, თუმცა დაზიანებულია. ფურცლის ორსავე მხარეს შეინიშნება საწერი მელნის კოროზია და დეფორმირებული კიდეები.

მინაწერები და სხვა მახასიათებლები: 391r: მარჯვენა ზედა არშიაზე დასმულია საარქივო ნომერი - 391; 391r: სათაურად გამოტანილია ორი სტრიქონი - ადრესატისა და ავტორის მითითებით: „ჩვენს: მეუფეს: წმიდას: რ“მპაპს: კლემენტს: .: მეთ“რმეტე: ლევან: ირანის: მდივანბეგი: და: საქართველოს: მეფე:“; 391v: ტექსტის ბოლოს დასმულია ლევან ბატონიშვილის ბეჭედი, რომელშიც იკითხება: „მ“ნა ქ“ესი ლევან მეფე“ („მონა ქრისტესი ლევან მეფე“).

391r:

ჩვენს: მეუფეს: წმიდა რომპაპს: კლემენტოს: მეთორმეტე:² ლევან: ერანის: მდივანბეგ³: და: საქართველოს: მეფე:⁴

ქ: კარგად: მოგეხსენებათ: წმიდაო: სულიერო: მამაო: ჩვენო: როგორ:

ეკუთვნოდეს და ის ლონდონში გასაგზავნადაა გამიზნული. წერილი შინაარსობრივად არაფერ კავშირში არაა საქართველოსთან. 31-ე ნომრით აღწუსებული ამ საკითხის საერთო კრებაზე წარმდგენი, ან საქმის კურატორი უნდა ყოფილიყო კარდინალი ფაბრონი, რასაც დოკუმენტების შეკვრის ბოლო გვერდზე საარქივო ჩანაწერი ადასტურებს [f. 402v].

2 ხელნაწერში შეცდომით მეთორმეტე წერია, წერილის დაწერის დროს რომის პაპი კლემენტ XI (ერისკაცობაში ჯოვანი ფრანჩესკო ალბანი, 1649-1721 წ.წ.) იყო.

3 1703 წლის დოკუმენტში ლევან ბატონიშვილი იხსენიება, როგორც ერანის მდივანბეგი. ამსტატუსით იხსენიება იგი 1704 წლის დოკუმენტებშიც: „ქ. ნებითა ღვთისათა, ჩვენ ქართველთა მეფისა და ერანისა სპასალარისა, ყანდარისა და ბეგლარბეგისა და მაგიერად მყოფმან, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან, პატრონმან შაჰყულიხან...“; „ჩვენ, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან, პატრონმან შაჰყულიხან“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1940: 127; საქართველოს სიძველენი, 1916: 201-202). ირანის შაჰის კარზე მყოფ ქართული სამეფო სახლის, თუ წარჩინებულთა საგვარეულოების წევრებს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ, მათ შორის იყო მდივანბეგის (მსაჯულის) თანამდებობა (ჯავახიშვილი, 2020: 110).

4 ლევანი ქართლს განაგებდა 1676-1677 წ.წ., ასევე 1703-1704 წ.წ. პირველ პერიოდში იგი გიორგი XI-ის სპარსეთში გაწვევის გამო მმართველად დანიშნეს. მეფის ტიტული ლევანს არც მეორე პერიოდში ჰქონდა. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში ლევანი თავს ქართლის ჯანიშინად მოიხსენიებს. მაგ. 1703 წლის 7 ენკენისთვით დათარიღებულ საბუთში აღნიშნულია: „ჩვენ სრულიად ერანის სპასალარისა ქირმანის ბეგლარ-ბეგისა და საქართველოს ჯანიშინმამ, პატრონმან შაჰყულიხან.“ ასევე, 1703 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწევნითა და ღვთისათა ჩვენ, ერანის მდივანბეგმან და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან...“ და სხვ. (ქავთარია, 1960: 511). თუმცა ზოგიერთ ქართულ წყაროში ლევანი ქართლის მეფედაც არის მოხსენიებული (იხ. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 1980: 45). როგორც ვნახეთ, რომში გაგზავნილ წერილში, ლევანი თავს საქართველოს მეფეს უწოდებს და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქართველი ბატონიშვილის წერილს პაპისადმი მეტი დამაჯერებლობა უნდა ჰქონოდა.

საქართველო: იესო: ქრისტეს: რჯულის: გულისათვის: ურუმებისა:⁵ და: სპარსთაგან: მუდამ: გარჯილი: და: გატანჯული: ყოფილა: და: როგორ: ჩვენს: უწინდელს: პაპებსა: ამდენი: ძალი: დაატანეს: რომ: დაჭირებისათვის: საქართველოს: მეფობა: ბეგრად: სპარსთ: მეფისათვის: მიუციათ: და: ციხეები: სპარსის: მოლაშქრისათვის: დაუნებებიათ: და: თვით: მესამე: წელიწადში: ბეგრად: ამდენი: ტყვედ: უნდა: გაუგზავნოთ:⁶ და: სპარსის: მეფე: საქართველოს: მეფობას: ერთს: ჩვენს: სახლის: კაცს:⁷ მისცემს: ამისთვის: რომ: მართალნი: საქართველოს: მეფეების: გვარისაგან: ვართ: და: ასრე: მამისჩემის:⁸ სიკვდილს: უკან: სპარსთ: მეფემ: საქართველოს: ბატონობა: ჩემს: უფროს: ძმას: მისცა: რომ: მუდმად: თავის: მტრებისაგან: დაბეზღებული: იყო: რომ: ყაენის: ორგული: არის: ამისთვის: რომ: ყაენის: მეთოფეები: რომ: ციხეში: დგანან: იმათ: არ: დაანებებდა: რომ: აქაურს: ქრისტიანებს: უსამართლო: უყონ: და: ეს: მიზეზი: იყო: რომ: ჩემა: ძმამ:⁹ ჩემი: თავი: მძევლად: გაგზავნა:¹⁰ და: მრავალს: წელიწადს: ბევრი: სარჯელი: და: სიღარიბე: გამოვიარე: ჩემის: სახლის: მტერებმა: ბევრი: ტყუილი: მომიგონეს: და: ყაენმა: გამათახსირა: და: ერთს: თავის: ავს: ციხეში: გამგზავნა: სად: ამდენი: წელიწადი: ბევრის: სარჯელით: და: სიღარიბით: დავყავ: და: ჩემი: ჯალაზი: და: შვილები: ტყვეობის: შიშისათვის: საქართველოდამ: გარდიხვეწენ:¹¹ და: ამთენის: მარცხებისაგან: შეწუხებული: და: ეშმაკსა: და ჩემის: შვილების:¹² სიყვარულისაგან: ცდენილი: თათრად: გავკდი: მართო: ენითა: და: არა: გულითა: რომ: ამით: ამდენი: სარჯელებისაგან: ჩემი: თავი: მოვარჩინე: იმ: ჩემს: თახსირობაში: თქვენს: ბერებთან: მუსაიბობა: მქონდა: და: ვიკითხევდი: თუ: რას: მიზეზისათვის: ბერძენნი: წმიდა: ლათინის:

5 იგულისხმებიან ოსმალები.

6 როგორც ცნობილია, სპარსეთის მიერ დანიშნული გურჯისტანის ვალი, მიუხედავად იმისა, რომ იერეარქიულად მესამე ადგილზე იყო სხვა ვალებს შორის, ერთობ პრივილეგიებით სარგებლობდა. გურჯისტანის ვალის ევალეზოდა სპარსეთის შაჰისთვის „ფეშქეშად“ ყმაწვილი გოგო-ბიჭების და ღვინის გაგზავნა. ეს ვალდებულება ვახტან V შაჰნავაზის გარდაცვალების შემდეგ კვლავ ძალაში იყო (ჯავახიშვილი, 2020: 112).

7 იგულისხმება ერეკლე I ნაზარალიხანი (1642-1709 წწ.).

8 იგულისხმება ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675 წ.წ.).

9 იგულისხმება ლევანის ძმა - ქართლის მეფე გიორგი XI (1651-1709 წ.წ.), რომელიც მოკლულ იქნა დიხ-შეიხში, ავღანეთში, ავღანელთა ბელადის - მირ ვეისის მიერ.

10 ლევანი მძევლად 1678 წელს, გიორგი XI-ის გამეფების შემდეგ გაგზავნეს ირანში. როგორც მივუთითებდით, იგი ორჯერ იყო ქართლის გამგებელი - 1676-1677 და 1703 წლის მეორე ნახევრიდან 1704 წლის სექტემბრის ბოლომდე (ქავთარია, 1960: 512).

11 ირანელთა, თუ ოსმალთა ძალმომრეობის წნეხი ქართლის სამეფო ოჯახის წევრებს აიძულებდა თავშესაფარი ხშირად ჩრდილოეთ კავკასიაში ეპოვათ, ამის მაგალითი ვახტან V შაჰნავაზის ერთ-ერთი ძე - არჩილი გახლავთ, რომელიც იმიერკავკასიის მთიანეთს ხშირად აფარებდა თავს (თოგოშვილი, 1969: 112).

12 იგულისხმებიან ლევანის ვაჟები ქაიხოსრო (შემდგომში ქართლის მეფე - 1709-1711 წ.წ.), ვახტანგი (შემდგომში ქართლის გამგებელი-ჯანიშინი (1703-1714 წ.წ.) და ქართლის მეფე (1716-1724 წ.წ.) და იესე (შემდგომში ქართლის მეფე - 1714-1716 წ.წ.; 1724-1727 წ.წ.).

ეკლესიისაგან: გაყრილნი:¹³ არიან: და: ლათინელთა: და: ბერძენთ: რჯულზედ: რა განყოფილობა: აქვსთ: და: ამ: სიტყვასა: და: ლაპარაკში: რომ: ვიყავით: ჩვენის: ძველის: წიგნების: კითხვითა: და: პატრები: კაპუჩინელებთა: ლაპარაკისაგან: დამტკიცებით: შევიტყვე: და: დავიჯე

391v:

რე: რომ: წმიდა: ჰრომაელთ: ეკლესია: ჭეშმარიტი: იყო: რომლისა: გარდა: ვერავინ: ქრისტიანი: ცხონდების: თუ: იმისი: მორჩილი: არარის: და: თუ: არა: მრწამს: რომ: წმიდა: ჰრომაპაპი: ჭეშმარიტი: ეკლესიის: ხილული: თავი: არის: და: ამრიგად: დამნაშავემ: ვცან: თქვენი: ჭეშმარიტება: და: წმიდის: გულით: მოვალ: პატიოსანს: თქვენს: ფერჯთან: დაჩოქებული: დიდის: სინანულითა: და: ცრემლით: და: მკერდსა: ცემით: ყოველს: ჩემს: ცოდვას: ვტირი: და განვაგდებ: წმიდის: ჰრომაელთ: ეკლესიის: ჭეშმარიტობას: აღვიარებ: და: ჩემს: სიკვდილამდი: მაგ: წმიდის: ეკლესიის: მორჩილი: შვილი: ვიქნები: და: გეხვეწები: თქვენ: წმიდაო: სულიერო: მამაო: ჩვენო: რომ: თქვენს: ჭეშმარიტის: შვილების: ანგარიშში: მეც: დამწეროთ: და: ყოვლის: ჩემის: ცოდვის: შენდობა: მიბოძოთ: და: თქვენი: წმიდა: კურთხევა: მოიღოთ: კიდევ: ამას: ვეხვეწები: თქვენს: სიწმიდესა: თუ: იქნებოდეს: ერთი: თქვენი: ბერი: ან მღრდელი: მიბოძეთ: რომ: მუდამ: ჩემთან: ერისგანულის:¹⁴ ტანისამოსით: იყოს: და: ჩემს: სულს: ცხოვნების: გზაზედ: დაარიგებდეს: პატრი: ალექსის:¹⁵ ჩემთან: წავიყვანდი: კაფუჩინსა:¹⁶ და: ან: ერთს: ბერს: ისპაჰანში: რომ: არიან: ჩემთან: დავიყენებდი: მაგრამ: ამათ: აქ: ყველანი: იცნობენ: და: ჩემი: მტერები: ყაენთან: დამაბეზლებენ: რომ: კიდევ: გაქრისტიანებულაო: და: ამ: ჩემს: შვილებსა: და: სახლს: დიდი: ზიანი: დაემართება: თქვენის: სიწმიდისაგან: ამდენი: იმედი: მაქვს: რომ: ვედრება: ჩემი: ისმინოთ: და: თქვენის: წმიდის: წილდებულ: მყოთ: ლოცვისა: კურთხევისა:

წერილი ბეჭდით არის დამოწმებული, სადაც იკითხება:

ვერტიკალურად: მარცხენა მხარეს: „მ“ნა ქ“ესი“ (მონა ქრისტესი); შუაში: ლევანის ხელრთვით - „ლევან“, მარჯვნივ (ვერტიკალურად) - „მეფე“.

დანართი N2: ლევან ბატონიშვილის წერილის იტალიური თარგმანი¹⁷

საარქივო იდენტიფიკატორი: ASPF, SOCG, vol. 564, f. 390r-390v.

ფურცლების რაოდენობა: 1 f; ფურცლის ორსავე მხარეს ნაწერი (f. 390).

¹³ იგულისხმება დიდი სქიზმა, საეკლესიო განხეთქილება, რომელმაც ქრისტიანობა მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებად დაჰყო.

¹⁴ ანუ საერო.

¹⁵ იგულისხმება ალესიო მილანელი, რომლის წერილიც კიდევ უფრო ავსებს ლევან ბატონიშვილის მიერ რომის პაპისადმი მიწერილ წერილში მოთხრობილ ამბებს.

¹⁶ ანუ კაპუცინთა ორდენის წარმომადგენელი. აღნიშნული ორდენი, როგორც ფრანცისკანელთა ორდენის განშტოება შეიქმნა 1525 წელს და მოგვიანებით (1609 წელს) დამოუკიდებელ მიმდინარეობად იქცა. სახელწოდება მიიღო ანაფორაზე მიკერებული უხეში მაუდის წვეტიანი კაპიუშონის გამო.

¹⁷ ლევან ბატონიშვილის წერილის იტალიური თარგმანი თან ერთვის ქართულ დედანს. თარგმანი სავარაუდოდ, თავად პროპაგანდაშია შესრულებული. საარქივო დოკუმენტზე მითითებულია, რომ არის თარგმანი (Traduzione). აქ წარმოდგენილი იტალიური ტექსტი ხელნაწერი დოკუმენტის ზუსტი, ტრანსკრიბირებული ვერსიაა.

ფურცლის ზომა: 196x267; ნაწერის ზომა: 171x259 (f. 391r); 171x110 (f. 391v); იტალიური ენა; ლათინური ანბანი; შავი მელანი; 1 სვეტი; სტრიქონების რაოდენობა: 37 (f. 390r), 14 (f. 390v).

მინაწერები და სხვა მახასიათებლები: 390r: მარცხენა ზედა აშიაზე იტალიური წარწერა „Traduzione“ („თარგმანი“); 390r: პირველი სტრიქონის დასაწყისიგამოკვეთილიაპირველიასოს („S“)დეკორატიულიკალიგრაფიით; 390r: მარჯვენა ზედა აშიაზე დასმულია ფურცლის საარქივო ნომერი „390“; 390v: ლევანის სახელი იტალიურად („Leon“) შესრულებულია გამორჩეული კალიგრაფიით; 390v: ტექსტის ბოლოს წარმოდგენილია დანიშნულება და მისამართი (საფოსტო წარწერა), რომელიც ლევანის წერილის კონვერტზე ქართულად უნდა ყოფილიყო დატანილი: „Questa lettera vada alla Santa Città di Roma e si dia nelle mani del nostro Santo Padre Papa Clemente Undecimo („ეს წერილი გაიგზავნოს წმინდა ქალაქ რომში და ხელში გადაეცეს ჩვენს წმინდა მამას, პაპ კლემენტი მეთერთმეტეს“).

f. 390r:

Traduzione

A Nostro Signore Santo Papa Clemente Undecimo

Leon Supremo Giudice di Tutta la Persia e Re della Giorgia

Sarà bonissimo informato nostro Spirituale Santo Padre, come la Giorgia per causa della Fede di Gesù Christo, dalli Ottomani e Persiani, è stata sempre travagliata e perseguitata, e come à miei primi Nonni tanta forza hanno fatta, che per necessità il Regno della Giorgia hanno fatto tributario de Persiani, e le Fortezze le hanno cadute à Persiani, et ogni tre Anni in Tributo gli devono mandar tanti Schiavi Christiani, et il Re di Persia è obligato dar' il Regno della Giorgia ad uno della nostra Casa perchè siamo della vera stripe dei Rè di Giorgia. Dopo la morte di mio Padre, il Rè di Persia diede il Regno della Giorgia ad un mio fratello maggiore, quale essendo di continuo accusato da suoi nemici d'infidelità al sodette Re di Persia, e questo perchè non permetteva à Turchi, che habitavano nelle fortezze, che incessevo violenze ò ingiustitie a Christiani, per questa ragione fù obligato mio fratello in segno di fedeltà à mandarmi in Persia per ostaggio, dove arrivato che fui i nemici di nostra Casa con molte false accuse hanno fatto, che il Rè mi privasse della sua grazia, e carcerasse in una Fortezza d' avia essai infetta, dove con povertà grande e travagli, sono stato molti Anni; E mia Moglie, e Figliuoli, per tema di non esser mandati schiavi al Rè di Persia se ne fugirono dalla Giorgia. Siche agittato da tante disgratie, spirito da diabolica tentazione, e dall' amor disordinato verso de miei figliuoli, mi feci Turco, però solo con la lingua, e non con il cuore, sperando con questo di liberarmi da tanti travagli. Nel tempo ch'io ero in disgrazia del Rè di Persia, avevo amicitia con certi Religiosi, à quali domandavo qual fosse la causa, che li Greci si fossero divisi dala Santa Chiesa Romana e che differenza si fosse trà Greci e Latini. Da questi discorsi arrivato poi che fui in Giorgia, dalla letione dei libri nostri antichi e con la prattica de P.P. Capuccini, fermamente ho capito, et ho creduto, che la Santa Chiesa Romana fosse la vera, fuori della quale niuno Christiano si può salvare, e che il Sommo Pontifice di questa Santa Chiesa fosse il vero Capo Visibile, e così si come ho fallito quando mi feci Turco per liberarmi dalli travagli di questo

mondo, così ora che ho conosciuta la Verità, inginocchiato à vostri Santi Piedi con grandissimo dolore, tutti i miei co'messi peccati piango e discaccio, e confesso la verità di Santa Chiesa Romana, alla quale sino alla morte sarò sempre figlio ubediente, e prego Voi Santo Spiritual Padre mio, che mi vogliate annoverare nel numero de vostri veri Figliuoli, e mi concediate la remissione di tutti peccati miei, e la vostra Santa Benedizione. Prego ancora la Santità Vostra, se fosse possibile,

f. 390v:

mandarmi un Religioso vostro, ò Sacerdote, quale di continuo stasse meco in habito secolare, qual' instradasse l'Anima mia per la via della Salute. Haverei condotto meco il Padre Alessio da Milanto Capuccino Missionario, òpure pigliato qualcuno di questi Religiosi, che dimovano qui in Hispahan, ma perchè questi sono essai conosciuti, non li posso tener meco, per tema che li miei nemici non mi accusino al Rè di Persia, come di nuovo mi si fatto Christiano, che questo per me, e per tutta la mia Casa sarebbe di grandissimo danno – Tanto spero dalla Santità Vostra alla quale con ogni Verità, baccio il Santo Piede, pregandola a farmi degno, e partecipe delle vostre Sante Orazioni, e benedizione.

LEON

Traduzione dalla Soprascritta

Questa lettera vada alla Santa Città di Roma

e si dia nelle mani del nostro Santo Padre

Papa Clemente Undecimo

ტექსტის ქართული თარგმანი:¹⁸

f. 390r:

ჩვენს წმინდა მეუფეს პაპ კლემენტი მეთერთმეტეს
ლევან - სრულიად სპარსეთის უმაღლესი მსაჯული¹⁹ და საქართველოს მეფე
ძალიან კარგად იქნება ინფორმირებული ჩვენი სულიერი წმინდა მამა, რომ საქართველო იესო ქრისტეს სარწმუნოების გამო, ოტომანთაგან და სპარსთაგან მუდამ შეწუხებული და შევიწროებული იყო, და რომ ჩემს დიდ პაპებს იმდენი ძალა დაატანეს, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფო სპარსთა სახარკოდ იქცა და ციხე-სიმაგრეები სპარსებს გადაეცათ, და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ამდენი ქრისტიანი²⁰ მონა უნდა უგზავნონ, და სპარსეთის მეფე ვალდებულია საქართველოს მეფობა ჩვენი სახლიდან ერთ-ერთს მისცეს, ვინაიდან ჩვენ ვართ საქართველოს მეფეთა ჭეშმარიტი ჩამომავლები. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის

18 რამდენადაც ლევან ბატონიშვილის წერილის იტალიური თარგმანი გარკვეულ სხვაობას ავლენს დედანთან, მეტი სიცხადისთვის, წარმოვადგენთ იტალიურად გადატანილი წერილის ქართულ თარგმანსაც.

19 ტექსტში: Supremo Giudice di Tutta la Persia („მთელი სპარსეთის უმაღლესი მსაჯული“). შდრ. ლევან ბატონიშვილის წერილის ქართულ დედანში: „ირანის მდივანზეგი“ (SOCC, vol. 564, f. 391r).

20 ტექსტში: tanti Schiavi Christiani („ამდენი ქრისტიანი მონა“). შდრ. ქარ. დედანში: „ბევრად ამდენი ტყვე“ (f. 391r). სიტყვა „ქრისტიანი“ ლევანის წერილის დედანის ამ მონაკვეთში ნახსენები არ არის.

მეფემ საქართველოს მეფობა გადასცა ჩემს უფროს ძმას²¹, რომელსაც გამუდმებით ბრალს სდებდნენ მისი მტრები სპარსეთის ზემოხსენებული მეფისადმი ორგულობაში, და ეს იმიტომ, რომ თურქებს²², რომლებიც ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდნენ²³, არ აძლევდა უფლებას ძალადობა და უსამართლობა გამოევიდნათ ქრისტიანების მიმართ, ამიტომაც ჩემი ძმა იძულებული გახდა, ერთგულების ნიშნად, სპარსეთში მე გავეგზავნე, სადაც ჩასულს ჩვენი სახლის მტრებმა ცრუ ბრალდება წამომიყენეს ისე, რომ სპარსეთის მეფემ მომაშორა თავის წყალობას და გამომკეტა ერთ თავის საშინელ ციხეში, სადაც დიდი სიღატაკითა და გაჭირვებებით გავატარე მრავალი წელი; ჩემი ცოლი და შვილები კი, იმის გამო, რომ სპარსეთის მეფესთან მონებად არ გაეგზავნათ, საქართველოდან გადაიხვეწნენ. ამდენი უმოწყალობისგან აღელვებული, ეშმაკისეული სულის ცდუნებისა და ჩემი შვილების სიყვარულისგან შემცდარი, თურქი გავხდი²⁴, ოღონდ მხოლოდ ენით და არა გულით და იმ იმედით, რომ ეს დამიხსნიდა ამდენი ტანჯვისაგან. იმ დროს, როდესაც სპარსეთის მეფის წყალობა არ მქონდა²⁵, ზოგიერთ სასულიერო პირთან ვმეგობრობდი²⁶, რომლებსაც ვეკითხებოდი თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ ბერძნები განყოფილნი არიან რომის წმინდა ეკლესიისგან, და რა განსხვავება იყო ბერძნებსა და ლათინებს შორის²⁷. ამ საუბრებით, შემდეგ საქართველოში როცა ვიყავი²⁸ - ჩვენი ძველი წიგნების კითხვითა და კაპუცინ მამებთან მეცადინეობით, მტკიცედ მივხვდი და ვირწმუნე, რომ რომის წმინდა ეკლესია იყო ჭეშმარიტი, რომლის გარეშეც არცერთ ქრისტიანს არ შეუძლია გადარჩეს, და რომ ამ წმინდა ეკლესიის უმაღლესი პონტიფექსი არის ჭეშმარიტი ხილული თავი, და როგორც მაშინ შევცდი, როდესაც თურქი გავხდი, რათა ამქვეყნიურ ტანჯვათაგან გავთავისუფლებულიყავი, ისე ახლა შევიმეცნე ჭეშმარიტება²⁹ და მუხლს მოვიდრეკე თქვენს წმინდა ფერხთა წინაშე უდიდესი ტკივილით³⁰, დავტირი

21 იგულისხმება გიორგი XI.

22 იგულისხმებიან მუსლიმები.

23 ტექსტში: *à Turchi, che habitavano nelle fortezze* („თურქებს, რომლებიც ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდნენ“). შდრ. ქართ. დედანში: „ყაენის მეთოფეები, რომლებიც ციხეში დგანან“ (f. 391r).

24 ტექსტში: *mi feci Turco*. შდრ. ქართ. დედანში: „თათრად გავხდი“ (f. 391r).

25 ტექსტში: *Nel tempo ch'io ero in disgrazia del Rè di Persia*. შდრ. ქართ. დედანში: „იმ ჩემს თახსირობაში“ (f. 391r).

26 ტექსტში: *avevo amicitia con certi Religiosi*. შდრ. ქართ. დედანში: „თქვენს ბერებთან მუსაიბობა მქონდა“ (f. 391r).

27 ტექსტში: *che differenza si fosse trà Greci e Latini*. შდრ. ქართ. დედანში: „ლათინელთა და ბერძენთა რჯულზედ რა განყოფილება აქვსთ“ (f. 391r).

28 ეს ფრაზა არ დასტურდება ქართულ დედანში, მთარგმნელის მიერაა ჩამატებული.

29 თავისუფალ თარგმანში განვრცობილია დედნისეული ფრაზა - „ამრიგად დამნაშავემ ვცან თქვენი ჭეშმარიტება“ (391v) - ვრცელი წინადადებით: *e così si come ho fallito quando mi feci Turco per liberarmi dalli travagli di questo mondo, così ora che ho conosciuta la Verità*.

30 ტექსტში: *con grandissimo dolore*. შდრ. ქართ. დედანში: „წმინდის გულით მივალ პატიოსან თქვენ

და განვაგდე ჩემ მიერ ჩადენილ ყველა ცოდვას³¹ და ვალიარებ რომის წმინდა ეკლესიის ჭეშმარიტებას, რომლისადმი მორჩილი შვილიც მუდამ ვიქნები სიკვდილამდე, და გვედრებით თქვენ, ჩემო წმინდა სულიერო მამავ, მოიღეთ ნება და ჩამთვალეთ თქვენს ჭეშმარიტ შვილთა რიცხვში, და მიბოძეთ მიტევება ჩემი ყველა ცოდვისა და მოიღეთ თქვენი წმინდა კურთხევა. თქვენს უწმინდესობას ასევე ვთხოვ, თუ შესაძლებელია,

f. 390v:

გამომიგზავნოთ თქვენი ერთი სასულიერო პირი, ან მღვდელი, რომელიც მუდამ ჩემთან იქნება საერო სამოსით³², რათა წარუძღვოს ჩემს სულს ცხოვნების გზაზე. ჩემთან წავიყვანდი კაპუცინ მისიონერს, მამა ალესიო და მილანოს³³, ან რომელიმეს იმ სასულიერო პირთაგან, აქ - ისპაჰანში რომ ცხოვრობენ, მაგრამ რადგანაც მათ კარგად იცნობენ, არ შემიძლია მათი თანხლება იმის შიშით, რომ ჩემმა მტრებმა სპარსეთის მეფესთან არ დამასმინონ, რომ ისევ ქრისტიანი გავხდი, რაც ჩემთვის და მთელი ჩემი სახლისთვის უდიდესი ზიანი იქნება. დიდი იმედი მაქვს თქვენი უწმინდესობისა, რომელსაც მთელი ჭეშმარიტებით ვეამბოვრები წმინდა ფეხებზე და გვედრებით, გამხადოთ ღირსი და მონაწილე თქვენი წმინდა ღოცვებისა და კურთხევისა.

ლევანი³⁴

თარგმანი ზემოხსენებულის [წერილიდან]³⁵
ეს წერილი გაიგზავნოს წმინდა ქალაქ რომში
და ხელში გადაეცეს ჩვენს წმინდა მამას
პაპ კლემენტი მეთერთმეტეს.³⁶

დანართი N3: ალესიო და მილანოს წერილი (1707 წლის 1 აგვისტო)

საარქივო იდენტიფიკატორი: ASPF, SOCG, vol. 564, ff 393r-394r

ფურცლების რაოდენობა: 2 ff; ფურცლის ორსავე მხარეს ნაწერი (f. 393),

ფერხთან დაჩოქებული“ (391v).

31 ტექსტში: tutti i miei commessi peccati piango e discaccio - იტალიურ თარგმანში მოკლე ვერსიაა წარმოდგენილი დედნისეული ვრცელი ფრაზისა: „დიდის სინანულითა და ცრემლით და მკერდსა ცემით ყველას ჩემს ცოდვას ვტირი და განვაგდე“ (391v).

32 ტექსტში: in habito Secolare. შდრ. ქართ. დედანში: „ერისგანულის ტანისამოსით“ (391v).

33 ტექსტში: Haverei condotto meco il Padre Alessio da Milanto Capuccino Missionario. შდრ. ქართ. დედანში: „პატრი ალექსის ჩემთან წავიყვანდი კაფუჩინსა“ (391v). ქართული დედნისგან განსხვავებით, თარგმანში სრულადაა ალესიო მილანელის სახელი და სტატუსი წარმოდგენილი.

34 ტექსტში: Leon („ლეონი“). ლევანის სახელი იტალიურად დაწერილია ხელრთვის მსგავსი, გამორჩეული კალიგრაფიით.

35 ტექსტში: Traduzione dalla Soprascritta. იგულისხმება ლევან ბატონიშვილის სახელი და მისი წერილი.

36 ფრაზა წაწერილი უნდა ყოფილიყო ლევან ბატონიშვილის ქართული წერილის კონვერტზე (ალბათ ქართულად), თავად კონვერტი, ქართული წარწერით, ამ დოკუმენტებს შორის არ არის.

ფურცლის ცალ მხარეს ნაწერი (f. 394); 195x270; ნაწერის ზომა: 180 x 240; იტალიური ენა, ლათინური ანბანი, შავი მელანი; 1 სვეტი; სტრიქონების რაოდენობა: 33 (f. 393r), 32 (f. 393v), 33 (f. 394r). დეფორმირებული კიდეები.

მინაწერები და სხვ.: f. 393r: მარცხენა ზედა აშიაზე შესრულებულია იტალიური წარწერა: „Copia“ („ასლი“); f. 393r: მარცხენა ქვედა აშიაზე შესრულებულია იტალიური წარწერა „P. Procuratore, e Commisio Generale de Capuccini“ („პადრე პროკურატორი, და კაპუცინების საერთო კომისია“); 393r: მარჯვენა ზედა აშიაზე დასმულია ფურცლის საარქივო ნომერი „393“; 393v: 23-ე და 26-ე სტრიქონები მონიშნულია მარცხენა აშიაზე, სტრიქონის გასწვრივ „-“ სიმბოლოს მითითებით; 393v: 28-ე სტრიქონში ერთი წინადადება წაშლილია ავტორის მიერ და ჩასწორებულია წაშლილი წინადადების თავზე მინაწერით: *Segretamente à Roma e che per mezzo della Paternitas Vestra* („საიდუმლოდ რომში და თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსების საშუალებით“). წაშლილი წინადადება არ იკითხება; 394r: მე-20 სტრიქონი მონიშნულია მარჯვენა აშიაზე „#“ სიმბოლოს მითითებით; 394r: 22-ე სტრიქონი მონიშნულია მარჯვენა აშიაზე „-“ სიმბოლოს მითითებით; 394r: მარცხენა ქვედა აშიაზე შესრულებულია იტალიური წარწერა: „Della Paternitas Vestra Reverendissima“ („თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსებისა“); 394r: მარჯვენა ზედა აშიაზე დასმულია ფურცლის საარქივო ნომერი „394“; 394v: მარჯვენა ზედა აშიაზე შესრულებულია წარწერა „Giorgia“ („საქართველო“).

f. 393r:

Reverendissimo et Padre Colendissimo

Devo dar' informazione à Vostra Paternitas Reverendissima come Leuan Primo Giudice del Re' di Persia e Principe della Giorgia, trè anni sono con ordine del Re' di Persia venne in Tiflis à pigliar' il possesso e stabilire in Vice Principe il suo figliuolo, done si amato, e stette male per due mesi, quale lo servisso con la medicina, e temendo di morte mi pregò trè ò quatro volte, che voleva confessarsi da me, alquale in tal modo risposi che non potevo sentire sua confessione à causa che per la nascita era di rito Greco, separato dalla Chiesa Romana, e poi ancora si era fatto Turco. Ed'esso mi rispose, che l'amore de suoi figliuoli, et il non poter sopportare i grandi travagli, che riceveva dal Re' di Persia, l'havevano forzato à farsi Turco, ma però solo con la bocca, ma internamente haveva sempre abborvito Maometto, e la sua Legge, e creduta per vera la Legge Euangelica di Cristo, senza quale niuno si può salvare. Et io gli risposi, che per salvarsi non bastava qualsivoglia Legge di Christiani, ma bisognava credere fermamente che la Santa Cattolica, et Apostolica Chiesa Romana sia la vera Fede, fuori della quale niuno può salvarsi, che il Sommo Pontifice sia il vero Capo di questa Chiesa Santa al quale ogni Christiano deve esser' soggetto et obediente. Et esso mi rispose, che in Hispahan un' altra volta con il Padre David Dominicano: havea fatta la Professione della Fede Cattolica, e che credeva fermamente il il Sommo Pontefice per Supremo Padre di tutti li Christiani, Vicario di Christo in Terra e Legitimo successore di San Pietro Apostolo; e che credeva lo Spirito Santo procedere dal Padre e dal Figlio, e che abbortiva tutti gli errori de' Greci, et abbracciava la Verità della Santa Cattolica et Apostolica Romana

Chiesa, nella quale (diceva egli) voglio vivere e morire - Gli dissi di più, che per fare una vera confessione, si ricercavano molte cose, una delle quali era, che bisognava lasciasse le concubine perchè al vero Christiano Cattolico non era lecito sola la legitima Moglie. Et esso mi rispose, che non poteva pigliar più moglie, à causa che haveva sei Figliuoli maschi, due de quali havevano Moglie e Figliuoli - et io gli dissi, che si egesse una delle concubine qualpiù gli piacesse, con la quale facesse matrimoni, et licentasse* le altre; Il che mi promise di fare come poi hà fatto. Gli dissi ancora che non poteva dare à Turchi in Sciavitudine li Christiani, alla riserva di quelli, ch' erano di conventione antica da darli al Re di Persia, e che non poteve convenire con Turchi in quelle cose, che sono segno evvidente di professione di Legge Maometana. Ilche pontualmente ha fatto, havendo ordinato al Figliuolo, che non permettesse in Giorgia niuno, ne Grannde ò Mignore ò Picciolo, possa vendere Christiani ali Turchi; e che esso, quando hà necessità di dar schiavi à qualche Turco grande gli comprasse dagli stessi Turchi, che vanno nei merelli, et altri paesi à comprar'

f. 393v:

schiaivi per rivenderli poi con loro guadagno, come fa' di presente comprandoli dalli Turchi stessi: et in quanto al non intervenire à Fonzione, che sii protezione di Maomatina, mi hà risposto, che stando in Hispahan alla Corte del Re di Persia, non poteva andar' à Chiesa de Christiani, ne dar' esternamente segno di Christiano, per non esser' accusato al Re', e da esso di nuovo esiliato, e privato lui, et i suoi Figliuoli del suo Paese; ma che anche sarebbe concorso à nissuna Fonzione maomettana, quale fosse stato segno evidente di protestatione di Legge Turcha, e che non era obbligato andare al Re', se non per l'interessi della Giustitia e non per altro. Sentendo io dal Principe tutte queste cose e buone dispositioni, gli risposi, che la sua internità non era pericolosa, ma sarebbe stata longa, e che pensasse bene et esaminasse la sua coscienza, e che quando fosse stato ben preparato, l'havevia sentito, e che era bene, già che non si era pericolo di morte, che prima io l'havessi ben instruito, acciò potesse fare una vera confessione. Et à questo fine, ma con pretesto di medicina, andavo ogni mattina da lui all' Alba à discorrere, avanti che niuno della Corte venisse. Ma all'hora non hà potuto metter' in esecuzione la sua buona volontà, perchè io prolongavo il confessarlo, per voler prima, che dasse la libertà, e caciasse fuori di casa le concubine, che teneva in Hispahan, dubitando, che se prima lo confessavo, non le avesse poi licenziate. In questo tempo gli venne dal Re' di Persia un' ordine espresso, che per negozii d'importanza si portasse subito in Hispahan; e perchè sapeva, che si trovava ancora in disposto, gli mandò un medico Turcho, che lo curasse per strada, e cosi parti dalla Giorgia senza potersi confessare, perchè arrivato questo Medico Turcho, mai l'abbandonava; Perlo che so non habbi più commodità di parlar con esso longamente da solo à solo - Arrivato poi in Hispahan, mi ha scritto molte volte, ordinandomi ch'si scrivessi al s'omo Pontefice pregandolo che volesse concedergli la remissione de suoi peccati, e riceverlo nel numero de suoi Fedeli Cattolici, e se fosse stato possibile, assignarli qualche Religioso, quale in Hispahan non fosse conosciuto per Religioso, con il quale potesse fare la sua confessione. Et io gli ho risposto, che era meglio, ch'esso stesso con sua

particolare supplicasse il Sommo Pontefice che il Padre Prefetto et io haveressimo inviata la lettera sua segretamente à Roma, e che per mezzo della Paternitas Vestra Reverendissima l'haveressimo fatta capitare nelle mani del Sommo Pontefice e così haverrebbe più sicuramente la risposta. E non sapendo esso Principe in qual conformità dovesse scrivere al Sommo Pontefice, per non haver alcuno con chi consultarsi, ha mandato il suo sigillo al Figlio, che al presente governa la Giorgia, con ordinar' ad' esso, et ad un suo zio

f. 394r:

qual' è pur cattolico, che scrivessero questa lettera, e me la consignassevo, acciò quanto prima fosse inviata à Roma, qual' è l'apresente, che il Padre Prefetto indirizza alle mani di Vestra Paternitas Reverendissima. Il stesso Principe per mezzo del suo Zio Cattolico hà pregato il Padre Prefetto che lo facesse scrivere nella Compagnia del Rosario, et in quella del SS.mo Sacramento, et in quanto all'esterno mostra d'havere con tutto il cuore abbracciata la Santa Fede Cattolica. Questo è quanto occorre e resti assicurata la Paternitas Vestra Reverendissima, che relazione più fedele di questa non gli posso dare, quale per sicurezza di mia coscienza hò voluto distintamente metter' in carta acciò Vestra Paternitas Reverendissima esponga al Sommo Pontefice quello, che giudicherà esser' meglio, non havendo io in questo altro fine, che la salute dell' Anima di questo Principe, e la Propagazione della S. Fede Cattolica; e si certa Vestra Paternitas Reverendissima che se questo Principe non havesse havuto questi buoni sentimenti, forse la nostra Missione sarebbe andata à terra perche il Patriarcha di Greci di Gerusalème arrabiato a' causa che il Re di Francia gli Anni passati hà fatto levare le chiavi del S. Sepolcro e le hà fatte dare à religiosi suoi, con ordinarli, che, ne à Greci, ne ad' altri heretici lasciassero celebrare la Messa nel Santo Sepolcro; ha scritto due volte à quel' Principe, pregandolo à discacciarci dalla Giorgia, et à dare le nuove chiese à Religiosi Greci. Ma questo Principe non gli hà dato orecchio, e però se questo è possibile, sarebbe ancora di qualche sollievo à nostri poveri Cattolici, de quali resto molto meravigliato come sopportino tante persecuzioni ed ingiustitie che di continuo ricescono dagli heretici, come credo che difusamente sarà informata dal nostro Padre Prefetto, et à bocca più si potrà informare da questi populi che ritornano in Christianità, et à mio giudizio sarebbe bene che il Sommo Pontefice ò la Sacra Congregazione scrivesse una lettera di benedizione al Figlio Principe che hora regna in Giorgia, pregandolo à proteggere i Cattolici, e non permettere gli si fatta ingiustitia et à ringraziarlo di quanto hà fatto fin' hora per il Cattolichismo; Perche sebene è di Legge Greca, pure doppio che hà saputo che il P^{re} suo era Cattolico, si è molto mutato, et hora non si dimostra così nostro contrario, nè parla male della Santa Fede Cattolica Romana, come faceva prima. La carità fervente et il zelo della salute del Prossimo di Vestra Paternita Reverendissima regolerà il tutto santamente; et io riceverò i dilei st.mi ordini, e commandi come venuti dal Cielo, mentre genu stesso in terra gli baccio la sacra mano, facendoli ogni humile riverenza, pregandola à compatirmi del tedio datogli colla praesentate et à racordarsi di me nelle sue Sante Orazioni. Tiflis il 1mo di Agosto 1707.

Della Paternitas Vestra Roverendissima
Umilissimo e Domino servo e suddito
F. Alessio da Milano Missionario Capuccino in Giorgia

ალესიო და მილანოს წერილის ქართული თარგმანი:

f. 393r

ყოვლად პატივცემულო და ყოვლად თაყვანსაცემო მამავ,³⁷

თქვენს მამებრივ ყოვლად ღირსებას უნდა ვაცნობო, რომ ლევანი - სპარსეთის მეფის პირველი მსაჯული და საქართველოს მთავარი³⁸, რომელიც სამი წლის წინ³⁹ სპარსეთის მეფის ბრძანებით თბილისში ჩამოვიდა, რათა სამფლობელო მიედო და თავისი უსაყვარლესი ვაჟი მთავრის ნაცვალად⁴⁰ დაედგინა, ორი თვის განმავლობაში ავად იყო, რის გამოც მე ვმკურნალობდი; და სიკვდილის შიშით, სამჯერ თუ ოთხჯერ შემევედრა, რომ სურდა ჩემთან

37 ალესიო და მილანოს (მილანელის) წერილის ადრესატი, სავარაუდოდ, უნდა იყოს კარდინალი ფაბრონი, რასაც ადასტურებს ლევან ბატონიშვილის საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტების შეკვრაზე დატანილი საარქივო ჩანაწერი: „Cardinal Fabroni, Giorgia, 26 Novembre 1708“ (SOCG, vol. 564, f. 402v). როგორც ჩანს, კარდინალმა ფაბრონიმ 1707 წლის 26 ნოემბერს საერთო კრებაზე წარადგინა ეს დოკუმენტები ლევან ბატონიშვილის საკითხის განსახილველად.

კარლო აგოსტინო ფაბრონი (Carlo Agostino Fabroni – 1651-1727) - ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა და ღრმად განსწავლული სასულიერო პირი რომის კურიის ისტორიაში. მისი ძალზე წარმატებული სასულიერო კარიერა დაიწყო პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაციის მდივნის პოზიციით, 1706 წელს კი იგი კარდინალად აკურთხეს და სხვა პრივილეგიებთან ერთად, ინდექსის კონგრეგაციის (აკრძალულ წიგნთა ნუსხაზე პასუხისმგებელი კონგრეგაცია) პრეფექტობაც დაეკისრა. კარდინალი ფაბრონი რომის პაპებთან (ინოკენტი XII და კლემენტი XI) დაახლოებული და განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი იყო (იხ. Messina, 1994). როგორც ალესიო მილანელის წერილიდან ჩანს, საქართველოში მყოფ მისიონერს გარკვეული ურთიერთობა უნდა ჰქონოდა კარდინალთან, რომელსაც შუამდგომლობას სთხოვს რომის პაპისთვის ლევან ბატონიშვილის წერილის გადაცემის მიზნით.

38 ალესიო მილანელი ლევან ბატონიშვილს მოიხსენიებს ტიტულთ Princepe, რაც ძირითადად, უფლისწულთა და დიდგვაროვანთა აღმნიშვნელი ტერმინია. ტრადიციის გათვალისწინებით, ლევანის შემთხვევაში ტერმინი ქართულად გადმოგვაქვს როგორც „მთავარი“, თუმცა თავად ლევანი პაპისადმი მიწერილ წერილში საკუთარ თავს საქართველოს მეფედ მოიხსენიებს (SOCG, vol. 564, f. 391r). როგორც ზემოთ მივუთითებდით, ქართულ დოკუმენტურ წყაროებში ლევანი მოიხსენიება ზოგჯერ საქართველოს ჯანიშინად (გამგებლად), ზოგჯერ კი - მეფედ.

39 ლევანი ქართლის ჯანიშინობას 1703 წლის ივლისიდან შეუდგა. ალესიო მილანელის წერილი რომში გაგზავნილია თბილისიდან 1707 წლის 1 აგვისტოს. წერილში კაპუცინი მისიონერი აღნიშნავს, რომ ლევანი ქართლის მართვას სამი წლის წინ, ანუ 1704 წლიდან შეუდგა, რაც ჩვენი აზრით, უზუსტობაა, რადგან ლევანი 1703 წლით დათარიღებულ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში თავის თავს ქართლის „ჯანიშინად“ და „პატრონად“ მოიხსენიებს (ქავთარია, 1960: 511).

40 საუბარია ლევანის ვაჟზე - ვახტანგ VI-ზე, რომელიც 1703 წელს ირანის შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ქართლის გამგებლად (ჯანიშინად) დანიშნა. ალესიო მილანელი ვახტანგს მოიხსენიებს ტიტულთ Vice Principe („მთავრის ნაცვალ“).

აღსარება ეთქვა, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ არ შემეძლო მომესმინა მისი აღსარებისთვის, ვინაიდან დაბადებით ბერძნული წესისა⁴¹ იყო, რომელიც რომაული ეკლესიისგან განყოფილია, და ამასთან, შემდგომში თურქიც გახდა⁴². მან კი მიპასუხა, რომ შვილებისადმი სიყვარულმა და სპარსეთის მეფისგან მოვლენილ დიდ ჭირთა ატანის უუნარობამ აიძულა თურქი გამხდარიყო, თუმცა მხოლოდ სიტყვით, რადგან შინაგანად ყოველთვის უარყოფდა მუჰამედსა და მის სჯულს და ჭეშმარიტად სწამდა ქრისტეს სახარებისეული სჯულისა, რომლის გარეშეც ვერავინ შეძლებს გადარჩენას. მე კი მას ვუპასუხე, რომ გამოხსნისათვის არ იყო საკმარისი ქრისტიანთა რომელიმე წესი, არამედ საჭირო იყო მტკიცე რწმენა იმისა, რომ რომის წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია არის ნამდვილი რწმენა, რომლის გარეშეც ვერავის ძალუმს თავის გადარჩენა, და რომ უზენაესი პონტიფექსი⁴³ არის ჭეშმარიტი მეთაური ამ წმინდა ეკლესიისა, რომელსაც ყოველი ქრისტიანი უნდა მორჩილებდეს და მსახურებდეს. მან კი მიპასუხა, რომ ისპაჰანში მან დომინიკელ მამა დავითთან უკვე აღიარა კათოლიკური მრწამსი და მტკიცედ სწამდა უმაღლესი პონტიფექსისა, როგორც ყველა ქრისტიანის უზენაესი მამისა, დედამიწაზე ქრისტეს ვიკარიუსისა და წმინდა პეტრე მოციქულის კანონიერი მემკვიდრისა; და სწამდა სულიწმინდისა, რომელიც მამისაგან და ძისაგან გამოვალს, და უარყოფდა ბერძენთა⁴⁴ ყველა შეცდომას და იღებდა წმინდა კათოლიკე და სამოციქულო რომაული ეკლესიის ჭეშმარიტებას, რომელშიაც - (როგორც თვითონ ამბობდა) - მინდა ვიცხოვრო და მოვკვდეო. უფრო მეტიც, ვუთხარი, რომ ჭეშმარიტი აღსარების სათქმელად, ბევრ რამეს ექნებოდა მნიშვნელობა, მათ შორის იმასაც, რომ საჭირო გახდებოდა მიეტოვებინა ხარჭები, ვინაიდან ნამდვილ კათოლიკე ქრისტიანს მხოლოდ ერთი ცოლის ყოლის უფლება აქვს. მან კი მიპასუხა, რომ აღარ შეეძლო ცოლი მოეყვანა, ვინაიდან ექვსი ვაჟი⁴⁵ ჰყავდა, რომელთაგანაც ორს ცოლი და შვილები ჰყავდა; მე კი მას მივუგე, რომ შეეძლო ამოერჩია ხარჭათაგან ერთ-ერთი - ის, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა და მასზე ექორწინა, სხვები კი გაეშვა. იგი დამპირდა, რომ ასე მოიქცეოდა და მოიქცა კიდევ. მას ასევე ვუთხარი, რომ არ შეეძლო

41 იგულისხმება ბერძნული რიტის ანუ მართლმადიდებელი.

42 იგულისხმება მაჰმადიანობა მიიღო.

43 იგულისხმება რომის პაპი.

44 იგულისხმებიან მართლმადიდებლები.

45 როგორც მივუთითებდით, ლევანი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველ მეუღლესთან, თუთა გურიელთან სამი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა, ხოლო მეორე ქორწინებაში - თინათინ ავალიშვილთან სამი ვაჟი შეეძინა, თუმცა მას მხეველებთანაც ჰყავდა შვილები (ჯავახიშვილი, 2020: 134). ალესიო მილანელი წერილში საუბრობს, თითქოს ლევანმა მისი რჩევით ერთ-ერთი ხარჭა ამოარჩია და ცოლად შეირთო. მისიონერი წერილში 1703-1704 წლის ამბებს ჰყვება, ამ დროს ლევანი მეორე ქორწინებაში იმყოფებოდა. მან 1680 წელს პირველი მეუღლის -თუთა გურიელის ასულის გარდაცვალების შემდეგ, თინათინ გიორგის ასული ავალიშვილი შეირთო. არ გამოვრიცხავთ, რომ წერილის დაწერის დროს ლევანს მეორე მეუღლეც გარდაცვლილი ჰყავდა და სწორედ ამიტომ ურჩია ალესიო მილანელმა მხეველთაგან საცოლის შერჩევა.

თურქებისთვის მონებად მიეცა ქრისტიანები, და უნდა გამოეხსნა ისინიც, ვინც ძველი შეთანხმებით, სპარსეთის მეფისთვის უნდა მიეცათ, და რომ არ შეეძლო გარიგებოდა თურქებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც თვალნათელი გამოვლინებაა მუჰამედის მრწამსის აღიარებისა. რაც მან მყისვე შეასრულა იმით, რომ თავის ვაჟს უბრძანა, არ დაერთო ნება არცერთი ქართველისთვის - არც დიდებულთათვის, არც მცირეთათვის და არც უმცირესთათვის, რომ თურქებისთვის მიეყიდათ ქრისტიანები. და თუ საჭიროება იქნებოდა იმისა, რომ თავად მას⁴⁶ მიეცა მონები რომელიმე თურქი დიდებულისთვის, მას თავადვე უნდა გამოეყიდა ისინი თვითონ იმ თურქებისგან, რომლებიც შავი ცხენებით დაიარებიან სხვა ქვეყნებში მონების საყიდლად,

f. 393v

რათა მერე სარგვანად გადაყიდონ ისინი, როგორც ამას ახლა აკეთებს იგი, როდესაც თურქებისგან ყიდულობს ხოლმე მათ⁴⁷. რაც შეეხება მსახურებაში არ ჩარევას⁴⁸, რაც მუჰამედის სჯულისადმი პროტესტის გამოვლინება იქნებოდა, მიპასუხა, რომ ისპაჰანში, სპარსეთის მეფის კარზე ყოფნისას, არ შეეძლო ქრისტიანთა ეკლესიაში სიარული, არც იმის რამე ნიშნით გამოვლენა, რომ ქრისტიანია, რათა მეფესთან არ დაესმინათ და მას⁴⁹ ისევ არ გადაესახლებინა ისიც და მისი შვილებიც მისი ქვეყნიდან. და რომ ასევე, არანაირ მუსლიმურ მსახურებას არ დაესწრობოდა, რაც შესაძლოა თურქული რჯულისადმი პროტესტის გამოვლენის თვალნათელი ნიშანი ყოფილიყო, და რომ არ ჰქონდა არანაირი სხვა ვალდებულება მეფესთან წასვლისა, გარდა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ინტერესებისა⁵⁰. მთავრისგან ამ ყოველივესა და მისი კეთილი ზრახვების მოსმენის შემდეგ, მე მას ვუპასუხე, რომ მისი შინაგანი მდგომარეობა სახიფათო არ იყო, მაგრამ იგი დიდხანს უნდა შენარჩუნებულიყო, ამიტომაც კარგად დაფიქრებულიყო და გამოეცადა საკუთარი სინდისი, ხოლო როდესაც უკვე კარგად იქნებოდა მომზადებული, ამას თვითონვე იგრძნობდა; და რომ უკვე კარგადაც იყო, სიკვდილის საფრთხე აღარ ემუქრებოდა და მას მე უკეთ გავწვრთნიდი საიმისოდ, რომ ჭეშმარიტი აღსარების თქმა შეძლებოდა. სწორედ ამ მიზნით, ოღონდ მკურნალობის საბაბით, მასთან მივდიოდი ხოლმე სასაუბროდ ყოველ დილას, გამთენიისას, მანამ სანამ სამეფო კარიდან ვინმე მოაკითხავდა. თუმცა მაშინ მან ვერ შეძლო თავისი კეთილი ზრახვის აღსრულება, ვინაიდან მე მის აღსარებას ვაჭიანურებდი, რადგანაც მიწოდდა ჯერ თავისუფლება მიეცა და სახლიდან გაეშვა ხარჭები, რომლებსაც ისპაჰანში ინახავდა, რადგან ვეჭვობდი - თუ ჯერ აღსარებას იტყოდა, მერე მათ აღარ გაუშვებდა. ამასობაში სპარსეთის მეფისგან მკაფიო ბრძანება მიიღო, რომ მნიშვნელოვანი საქმეების გამო სასწრაფოდ ისპაჰანში უნდა დაბრუნებულიყო. და ვინაიდან მან⁵¹ იცოდა, რომ ჯერ კიდევ

46 იგულისხმება ვახტანგ VI.

47 იგულისხმებიან მოტაცებული და ტყვედ გაყიდული ადამიანები.

48 იგულისხმება ისლამურ ლიტურგიკაში მონაწილეობაზე უარის თქმა.

49 იგულისხმება ირანის შაჰი.

50 იგულისხმება ლევანის, როგორც მდივანბეგის ვალდებულებები შაჰის კარზე.

51 იგულისხმება ირანის შაჰი.

შეუძლოდ იყო, ერთი თურქი ექიმი გამოუგზავნა, რომელსაც გზაში უნდა ემკურნალა მისთვის და ამგვარად, ისე გაემგზავრა საქართველოდან, რომ აღსარების თქმა ვერ შეძლო, ვინაიდან ეს თურქი ექიმი რაც ჩამოვიდა, მას მერე მარტო აღარ დაუტოვებია იგი. აქედან გამომდინარე, ვიცი, რომ აღარ მომეცემა შესაძლებლობა მასთან დიდი ხნით პირისპირ მარტომ ვისაუბრო. შემდეგ, უკვე ისპაჰანში ჩასულმა ბევრჯერ მომწერა⁵²; მთხოვდა მიმეწერა უმაღლესი პონტიფექსისთვის და შევედრებოდი ეზომებინა მისთვის ცოდვათა მიტევება, მიეღო იგი თავის მორწმუნე კათოლიკეთა რიგში და თუ შესაძლებელი იქნებოდა, გამოეყო მისთვის ერთი ისეთი სასულიერო პირი, ვისაც ისპაჰანში სასულიერო პირად არ იცნობდნენ⁵³, რომელთანაც შეძლებდა აღსარების თქმას. მე კი ვუპასუხე, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ თვითონ პირადი წერილით შევედრებოდა უმაღლეს პონტიფექსს, მამა პრეფექტი და მე კი მის წერილს საიდუმლოდ გავგზავნიდით რომში, თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსების⁵⁴ საშუალებით მოვახერხებდით, რომ იგი უმაღლესი პონტიფექსის ხელში მოხვედრილიყო და ასე უფრო დანამდვილებით მიიღებდა პასუხს. და რაკილა ამ მთავარმა არ იცოდა რა ფორმით უნდა მიეწერა უმაღლესი პონტიფექსისთვის, ვინაიდან არავინ ჰყავდა, ვისაც დაეკითხებოდა, თავისი ბეჭედი თავის ვაჟს გამოუგზავნა, რომელიც ამჟამად საქართველოს მართავს⁵⁵, და უბრძანა მას და თავის ერთ ზიძეს⁵⁶,

f. 394r

52 ტექსტში 23-ე სტრიქონი მონიშნულია მარცხენა აშიაზე, სტრიქონის გასწვრივ „-“ სიმბოლოს მითითებით. მონიშნულია შემდეგი წინადადება: *mi ha scritto molte volte, ordinandomi ch'si scrivessi al Sommo Pontefice pregandolo che* („ბევრჯერ მომწერა, მთხოვდა მიმეწერა უმაღლესი პონტიფექსისთვის და შევედრებოდი“).

53 ტექსტში 26-ე სტრიქონი მონიშნულია მარცხენა აშიაზე, სტრიქონის გასწვრივ „-“ სიმბოლოს მითითებით. მონიშნულია შემდეგი წინადადება: *conosciuto per Religioso, con il quale potesse fare la sua confessione. Et io gli ho risposto* („იცნობდნენ, რომელთანაც შეძლებდა აღსარების თქმას. მე კი ვუპასუხე“).

54 ტექსტის 28-ე სტრიქონში წინადადება წაშლილია თავად ავტორის მიერ. წაშლილი წინადადება არ იკითხება. მას თავზე აქვს წაწერილი შემდეგი წინადადება: *sua segretamente à Roma, e che per mezzo della Paternitas Vestra* („საიდუმლოდ გავგზავნიდით რომში და თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსების საშუალებით“).

55 იგულისხმება ვახტანგ VI.

56 სავარაუდოდ, იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ლევან ბატონიშვილის არა ზიძე, არამედ ზიძეშვილი (დედის ძმისშვილი) იყო. სულხან-საბას ხელით უნდა იყოს დაწერილი ლევან ბატონიშვილის ჩვენ მიერ მოძიებული წერილი (SOCG, vol. 564, ff. 391r-391v), რასაც გარდა ალესიო მილანელის წერილში წარმოდგენილი ამ ცნობებისა, სულხან საბას ხელნაწერებისა და ლევან ბატონიშვილის წერილის კალიგრაფიის შედარებაც ცხადყოფს. წერილის დაწერა რომ სულხან-საბასა და ვახტანგს უკავშირდება, ამას ასევე ადასტურებს ლევან ბატონიშვილისა და ალესიო მილანელის წერილების თანმხლები დოკუმენტი - კრებაზე განხილული ამ საკითხის შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ლევანმა „უბრძანა თავის ვაჟს, რომელიც ამჟამად საქართველოს მართავს, შესაბამისი წერილი დაეწერა. [ვაჟმა/ვახტანგმა] მის კათოლიკე ზიძესთან ერთად დაწერა ეს წერილი ჩვენი მეუფისთვის. ამ მიზნით მან [ლევანმა] გაუგზავნა თავის ვაჟს ცარიელი ფურცელი, რომელსაც მისი ბეჭედი ესვა“ (SOCG, vol. 364, f. 386v).

რომელიც ასევე კათოლიკეა, რომ დაეწერათ და ჩემთვის გადმოეცათ, რათა რაც შეიძლება მალე გაგზავნილიყო რომში ეს წერილი, რომელსაც ამჟამად მამა პრეფექტი⁵⁷ თქვენს მამებრივ ყოვლად ღირსებას გადმოგცემთ. თავად მთავარმა⁵⁸ თავისი კათოლიკე ბიძის⁵⁹ საშუალებით სთხოვა პადრე პრეფექტს, რომ ჩაეწერათ იგი სავარდისა და უწმინდესი საფლავის სამმოში⁶⁰, და როგორც გარეგნულად ავლენს, მას წმინდა კათოლიკე სარწმუნოება მთელი გულით აქვს მიღებული. ესაა, რაც ხდება და თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსება დარწმუნებული იყოს, რომ ჩემთვის შეუძლებელია ამაზე უფრო სანდო მოხსენების წარმოდგენა, რომელიც ჩემი სინდისის სიმშვიდისთვის ვისურვე ფურცელზე გადმომეტანა იმისთვის, რომ უმაღლეს პონტიფექსს თქვენმა მამებრივმა ყოვლად ღირსებამ ის წარუდგინოს, რასაც უმჯობესად მიიჩნევს, რამდენადაც მე სხვა მიზანი არ გამაჩნია, გარდა ამ მთავრის სულის სიჯანსაღისა და წმინდა კათოლიკე სარწმუნოების გავრცელებისა; თქვენო მამებრივო ყოვლად ღირსება, ცხადია, რომ თუ ამ მთავარს კეთილი ზრახვები არ აქვს, შესაძლოა ჩვენმა მისიონმა მარცხი განიცადოს, რადგანაც იერუსალიმის ბერძნების პატრიარქი განრისხებულია იმის გამო, რომ საფრანგეთის მეფემ გასულ წლებში მოახერხა და წმინდა საფლავის გასაღები მიიღო და თავის სასულიერო პირებს გადასცა, თან უბრძანა, რომ არც ბერძნებისთვის და არც სხვა ერეტიკოსებისთვის არ დაერთოთ ნება,

57 საუბარია თბილისში მყოფ კაპუცინების პრეფექტზე.

58 იგულისხმება ლევან ბატონიშვილი.

59 იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ამ წერილში ლევან ბატონიშვილის ბიძადაა მოხსენიებული, თუმცა რეალურად სულხან-საბა ლევანის ბიძაშვილი იყო.

60 უნდა იგულისხმებოდეს ერთ-ერთი მე-18 საუკუნეში არსებულ სამმოთაგან, რომლებიც „უწმინდესი საფლავისა და სავარდის საზოგადოების“ სახელითაა ცნობილი. ამ სახელწოდებით მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი სამმო არსებობდა კათოლიკურ სამყაროში, რომელთაგან აღსანიშნავია საფრანგეთში კაპუცინების მიერ მე-16 საუკუნეში დაარსებული საიდუმლო სამმო, რომელიც ამავე საუკუნის ბოლოს გაუქმდა. ერთ-ერთი ასეთი კათოლიკური სამმო „Compagnia del SS. Sacramento e Rosario“-ს სახელით დაარსდა მე-16 საუკუნეში და აქტიურ საქმიანობას ეწეოდა მე-18 საუკუნეშიც, რასაც დღემდე აგრძელებს (იხ. Alemanno, 1998). გადაჭრით ვერ ვიტყვით, თუმცა რაკილა ირანში, ისპაჰანში დომინიკელ მისიონერთა მიერ მე-16 საუკუნეში აშენებული სავარდის ღვთისმშობლის ტაძარი დღემდე არსებობს, შესაძლოა იქვე ფუნქციონირებდა სავარდის ღვთისმშობლისა და უწმინდესი საფლავის სამმოც და სწორედ მასში გაწევრიანებას ითხოვდა ლევან ბატონიშვილი. თუმცა არაა გამორიცხული მსგავსი საზოგადოება საქართველოშიც არსებულიყო, რაკილა ლევანი თბილისის მისიონის პრეფექტს სთხოვს ამ სამმოში გაწევრიანებას.

რომ წირვა აღესრულებინათ წმინდა საფლავზე⁶¹. მან⁶² ორჯერ მისწერა ამ მთავარს და სთხოვა, რომ განვედევნეთ ჩვენ საქართველოდან და ახალი ეკლესიები ბერძენი სასულიერო პირებისთვის მიეცა⁶³. მაგრამ ამ მთავარმა მას ყური არ ათხოვა, და რაკილა ასე მოხდა, ეს კიდევ რაღაც შვებაა ჩვენი საბრალო კათოლიკეებისთვის, რომლებიც ერთობ საკვირველია ჩემთვის, თუ როგორ უძლებენ ამდენ დევნასა და უსამართლობას, რასაც განუწყვეტლივ იღებენ ერეტიკოსთაგან, რაზედაც დარწმუნებული ვარ ნაწილობრივ ინფორმირებული ხართ ჩვენი მამა პრეფექტისგან, უფრო მეტი ინფორმაციის მიღება კი შესაძლებელი იქნება პირადად იმ ხალხისგან, რომლებიც ქრისტიანობას უბრუნდებიან. ჩემი განსჯით, კარგი იქნებოდა უზენაეს პონტიფექსს ან წმინდა კონგრეგაციას კურთხევის წერილი მიეწერა ვაჟი მთავრისთვის,⁶⁴ რომელიც ახლა საქართველოში მეფობს⁶⁵ და მისთვის ეთხოვა, რომ დაიცვას კათოლიკეები, არ დაუშვას მათ მიმართ უსამართლობა და მადლობა გადაეხადა იმ ყოველივესთვის, რაც კათოლიციზმისთვის მას აქამდე გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბერძნული წესისაა⁶⁶, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ მამამისი კათოლიკე გახდა, ძალიან შეიცვალა, და ახლა ჩვენდამი წინააღმდეგობას ისე არ ავლენს და არც რამე ცუდს ამბობს წმინდა კათოლიკე რომაული სარწმუნოების შესახებ, როგორც ამას უწინ სჩადიოდა. თქვენი მამებრივი ყოვლად ღირსების გულმოდგინება და მოყვასის სიკეთისთვის გულმოდგინება ყოველივეს სიწმინდით მოა-

61 სავარაუდოდ, იგულისხმება ლუი XIV, რომელსაც წმინდა საფლავის მცველის (Custos) პატივის მოპოვების არაერთი მცდელობა ჰქონდა, რასაც საფრანგეთიდან იერუსალიმში მდიდრული ძღვენის გაგზავნითაც ცდილობდა (იხ. *Les présents de Louis XIV offerts pour le Saint-Sépulcre de Jérusalem*, 2011). ლუი XIV დახმარებას უწევდა აღმოსავლეთში არსებულ კათოლიკურ მისიონერებს. ეს კარგად ჩანს 1714 წლის 20 ივლისით დათარიღებული წერილიდანაც, რომელიც საფრანგეთის ხსენებულ მეფეს რომის პაპმა კლემენტი XI-მ გაუგზავნა. კათოლიკური ეკლესიის მწყემსმთავარი აღნიშნავდა: „დაუღალავად იღწვი ღმერთის სადიდებლად და სულების გადასარჩენად, რაც განსაკუთრებით ნათელია ახლა, როცა გავიგეთ, რომ შენ მფარველობ მისიებს, რომლებიც დაარსებულია სპარსეთის სამეფოში.“ (ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე), 2020: 15-16). აღსანიშნავია, რომ ამავე წერილში რომის პაპი სულხან-საბა ორბელიანის და ჟან რიშარის (წერილში იოანე რიკარდოდ იხსენიება) თხოვნის საფუძველზე, საფრანგეთის მეფეს ირანის შაჰთან ტყვეობაში მყოფი ვახტანგ VI-ის გათავისუფლებისკენ მოუწოდებდა (ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე), 2020: 16-17).

62 სავარაუდოდ იგულისხმება იერუსალიმის ბერძენი პატრიარქი დოსითეოს II (1669–1707).

63 უნდა იგულისხმებოდეს ვახტანგ VI-ისადმი მიწერილი წერილები.

64 იგულისხმება ვახტანგ VI.

65 ტექსტში 22-ე სტრიქონი მონიშნულია მარჯვენა აშიაზე, სტრიქონის გასწვრივ „–“ სიმბოლოს მითითებით. მონიშნულია შემდეგი წინადადება: „...zione al Figlio Principe che hora regna in Georgia, pregandolo à proteggere i Cattolici, e non („ვაჟი მთავრისთვის, რომელიც ახლა საქართველოში მეფობს და მისთვის ეთხოვა, რომ დაიცვას კათოლიკეები, არ“).

66 იგულისხმება მართლმადიდებლობა.

წესრიგებს; მე კი მივიღებ თქვენს უწმინდეს ბრძანებებსა და დავალებებს ისე, ვით ზეციდან მოვლენილთ, და მიწაზე მუხლმოყრილი ვეამბორები თქვენს წმინდა ხელს, ყოვლად მოწიწებითა და პატივისცემით გვედრებით მომიტევოთ, რომ თავი შეგაწყინეთ ამ წერილით და მომიხსენიოთ თქვენს წმინდა ღოცებში.

თბილისი, 1 აგვისტო, 1707

ღვთის ყოვლად მდაბალი მონა და მორჩილი

ძმა ალესიო და მილანო, კაპუცინი მისიონერი საქართველოში

თქვენი ყოვლად სათაყვანო მამებრიობის.

დანართი N4: ლევან ბატონიშვილისა და ალესიო მილანელის წერილების შეჯამება - საარქივო ჩანაწერი

საარქივო იდენტიფიკატორი: *ASPF, SOCG, vol. 364, ff. 385r-387v*

დოკუმენტი წარმოადგენს 1708 წლის 26 ნოემბრის საერთო კრებაზე განხილული ლევან ბატონიშვილის საკითხის შეჯამებას, სხდომის ოქმს. აქვს ამის დამადასტურებელი წარწერაც - *Sommario (შეჯამება)*, რომელსაც თან ახლავს მეორე პირი, ასლი (*duplicato del Sommario - ff. 388r-389v*).

385r:

Sommario

Dalla Santità di Nostro Signore viene comunicata all' E.E. V.V. una lettera scrittagli da un tal Leone, che s'intitola Supremo Giudice di tutta la Persia, e Rè della Giorgia. Questo dunque rappresenta a Nostro Signore, che attesa la persecutione mossagli da suoi nemici appresso il Rè di Persia, ove stava per ostaggio del fratello, che regnava in Giorgia feudatario del detto Rè di Persia, per evitare una tale persecutione si fece esternamente Turco. Ravvedutosi però dell' errore per opera dei P.P. Cappuccini Missionarii in Giorgia, é conosciuti anco gl' errori de Greci suoi Nationali, confessa la verità della fede Cattolica, si dichiara figlio obbediente della Chiesa Romana e del Sommo Pontifice, dal quale domanda il perdono de suoi peccati, la benedittione e che se gli mandi un Religioso in habito di Secolare, per direttione dell' Anima Sua, al qual' effetto dice, che avrebbe preso il Padre Alessio di Milano Cappuccino Missionario in Giorgia, o altro Religioso dimorante in Apahan, ma per essere questi

385v:

conosciuti, dice non poterli tener' seco, per tema di non essere scoperto, et accusato al Re di Persia, d'ersersi fatto nuovamente Christiano.

Intorno a che dice Monsignore Segretario trovarli in questi registri un Decreto dè 24 Novebre 1628: in cui si dice: Sacra Congregatio censuit Catholicis inter Hereticos de gentibus, non licere ob periculo Vitae, vel ammissionis Bonorum occultare Catholicam fidem contra Apostoli ad Romanos 10; et un' altro della Congregatione del S. Offitio de 7 Aprile 1629: emanato in quella dè Padri qualificatori del seguente tenore: S. Congregatio censuit Apotatos à Fide redeuntes ad penitentias, omnino debere abiurare Apostasiam eorum fidelibus captivis, quibus dederunt scandalum in propriis carceribus publice et explicate, ab eorum infidelibus non videtur hoc necessarius ut eorum ipsis abstinereant ab actibus infidelitatis, deponantque habitis

protestativis false, et curenre ut successu temporis cognoseant etiam

386r

infideles vèl ab ipsis, vèl ab aliis eorum abiurationem, licet id eis periculo Vitae.

Il sudetto Padre Alessio Cappuccino, che ha mandato detta lettera, scrive di aver lungamente trattato coll' Ore in occasione, che stava infermo in Tiflis, et egli lo curava et averlo istruito delle cose necessarie ad un Cattolico, con co'n persuaderlo anco a lasciare le Concubine che teneva, comprenderne una sola per moglie, conforme dice d'aver fatto. A non vendere i Christiani per Schiavi a Turchi, e a fuggire totalmente la comunione con Turchi nelle cose, che sono segno evidente di professione Maomettana, il che dice aver' promesso di fare, scusandosi però dall' andare alle Chiese de Christiani, per non essere scoperto per tale. Soggiunge, che avendoli differito il Sacramento della penitenza perchè meglio vi si disponesse, fù il medesimo richiamato in fretta dal Rè di Persia e non s'è potte confessare. Haver però scritto più volte

386v:

da Aspahan al medesimo Padre, con pregarlo a scrivere a Sua Santità, e fargli le sudette istanze, e finalmente avere ordinato al suo figliolo, che al presente governa la Giorgia, di scrivere conforme hà fatto unitamente con suo Zio Cattolico la sudetta lettera a Nostro Signore, con aver a tal fine mandato all'istesso sico figliolo un foglio in bianco formato col suo sigillo, e con aver' anco pregato il Prefetto della sudetta Missione di Tiflis di ascriverlo nella Compagnia del Rosario e del Sacramento, con dimostrare quanto all' esterno di avere veramente abbracciata la Santa Fede. Per il che il medesimo Padre Alessio Supplica.

Primo: che si condescenda da Sua Santità alla gratia, che l' Ore dimanda, ridondando ciò in evidente vantaggio della Religione Cattolica, e di quella Missione, mentre il Principe figliolo dell' Ore, benchè di Rito Greco, vedendo che il Padre s'è fatto Cattolico non è così contrario à Cattolici, e Missionarii

387r:

nè dà orecchie à i loro Avversarii, e particolarmente al Patriarca Greco di Gierusalemme, che l' esortava a discacciare dalla Giorgia i Missionarii, onde il medesimo Padre suggerisce.

Secondo: Che si scriva da Nostro Signore, oppure da questa Sacra Congregazione una Lettera an medesimo Principe con ringraziarlo di quanto hà fatto a favore de Cattolici, e pregarlo a proteggerli anco in avvenire.

Intorno a che dice Monsignore Segretario, che sotto li 14 Maggio 1688 fù ad insinuatione di questa Sacra Congregazione scritto dal Papa al Rè di Giorgia un Breve, in cui si rallegrava, che avesse abiurat

a la Setta Maomettana, e che lo riceveva nel grembo della Santa Madre Chiesa.

საარქივო ჩანაწერის ქართული თარგმანი:

f. 385r:

შეჯამება

მის უმაღლესობასთან შემოვიდა ერთი წერილი, რომელიც დაწერილია ვინმე ლეონის⁶⁷ მიერ, რომელიც საკუთარ თავს მთელი სპარსეთის უმაღლეს მსაჯულად და საქართველოს მეფედ მოიხსენიებს. ჩვენს მეუფეს იგი თავს წარუდგენს ისე, რომ მტრებისაგან შევიწროებული ხელთ ჩაუვარდა სპარსეთის მეფეს, სადაც გაგზავნილი იყო მძევლად თავისი ძმის⁶⁸ მიერ, რომელიც სპარსეთის მეფისაგან დანიშნული, საქართველოში მეფობდა. თავიდან რომ აერიდებინა დასჯა, თურქი გახდა, ოღონდ - გარეგნულად. საქართველოში კაპუცინი მისიონერების საქმიანობის წყალობით, მიხვდა შეცდომებს და ასევე თავისი ეროვნების ბერძნების⁶⁹ შეცდომებს, აღიარებს კათოლიკე სარწმუნოების ჭეშმარიტებას, თავს აცხადებს რომაული ეკლესიისა და უმაღლესი პონტიფიქსის მორჩილ შვილად, ვისგანაც ითხოვს ცოდვათა მიტევებას, კურთხევას და მასთან ერთი საერო სამოსის სასულიერო პირის გაგზავნას - მისი სულის საწინამძღვროდ. ამბობს, რომ საქართველოში მყოფ კაპუცინ მისიონერს - პატრ ალესიო და მილანოს⁷⁰ წაიყვანდა ისპაჰანში ან სხვა სასულიერო პირს იყოლიებდა თან, რომლებიც ისპაჰანში არიან, მაგრამ ვინაიდან მათ იცნობენ, შეიძლება ეს სახიფათო იყოს, რადგან შესაძლოა, მიხვდნენ და სპარსეთის მეფესთან დააბეზლონ, რომ ისევ ქრისტიანი გახდა. ამასთან დაკავშირებით მონსინიორ სეკრეტარი ამბობს, რომ ჩვენს რეესტრში მოიპოვება 1628 წლის 24 ნოემბრის ერთი დეკრეტი, რომელშიც ნათქვამია: „წმინდა კონგრეგაციამ დაუდგინა ერეტიკოსთა შორის მცხოვრებ კათოლიკე ხალხს, რომ არ აქვთ უფლება დამალონ კათოლიკე სარწმუნოება სიცოცხლის საფრთხის გამო ან ქონების დაკარგვის შიშით, [და იმოქმედონ პავლე] მოციქულის [ეპისტოლეს] „რომაელთა მიმართ“ მე-10 [თავის] წინააღმდეგ“. და ერთიც სხვა - კონგრეგაციის წმინდა პალატის მიერ, 1629 წლის 7 აპრილს, კვალიფიკატორი პატრების შესახებ გამოქვეყნებული შემდეგი შინაარსის [ტექსტი]: „წმინდა კონგრეგაციამ დაადგინა, რომ განდგომილებმა, რომლებმაც მოინანიეს და დაუბრუნდნენ სარწმუნოებას, სრულად უნდა უარყონ მათი განდგომა იმ მორწმუნე ტყვე-თაგან, რომლებსაც საჯაროდ და აშკარად ამცირებდნენ საკუთარ საკნებში; ურწმუნოთაგან [განდგომა] კი აუცილებელი არ არის, რადგან [შესაძლოა] მათ თავადაც თავი შეიკავონ ურწმუნოების ქმედებათაგან, განაგდონ თავისი ცრუ საპროტესტო ჩვევები და დროის მდინარებითა და კურნებით, თვით ურწმუნოებმაც კი ან თავად ან სხვათაგან გააცნობიერონ განდგომა, თუნდაც სიცოცხლის საფრთხის [ფასად]“. ზემოხსენებული კაპუცინი მამა ალესიო, რომელმაც ეს წერილი გამოგზავნა, წერს, რომ მას ვრცელი საუბარი ჰქონდა მეფესთან⁷¹ მაშინ, როდესაც თბილისში ჩამოსული ავად იყო, მკურნალობდა მას და კათოლიკე ადამიანისთვის აუცილებელ რამეებს

67 იგულისხმება ქართლის ჯანიშინი ლევანი.

68 იგულისხმება გიორგი XI (1651-1709 წ.წ.).

69 იგულისხმებიან ქართველი მართლმადიდებლები.

70 იგულისხმება ზემოთ ნახსენები კაპუცინი მისიონერი ალესიო მილანელი.

71 იგულისხმება ქართლის ჯანიშინი ლევანი, რომელსაც გარკვეული პერიოდი, როგორც ალესიო მილანელის წერილიდან ირკვევა, კაპუცინი მისიონერი მკურნალობდა.

ასწავლიდა, რის საშუალებითაც არწმუნებდა, რომ მიეტოვებინა ის ხარკები, რომლებიც მას ჰყავდა, მხოლოდ ერთი ცოლი მოეყვანა და ამბობს, რომ ასეც მოიქცაო; ქრისტიანები არ უნდა მიეყიდა მონებად თურქებისთვის და სრულიად უნდა განრიდებოდა თურქებთან ურთიერთობას ისეთ საკითხებში, რომლებიც მუჰამედის სჯულის თვალნათელი გამოვლინებაა, რაზედაც როგორც ამბობს, პირობა მიუცია რომ ასე იზამდა, თუმცა თან მოუბოდიშებია რომ არ შეეძლო ქრისტიანთა ეკლესიებში სიარული, ამით რომ არ გამჟღავნებულიყო.⁷² იგი⁷³ ასევე დასძენს, რომ გააჭიანურა ზიარების საიდუმლო, რათა უკეთ მოემზადებინა იგი⁷⁴ ამისთვის, თუმცა სპარსეთის მეფემ [ლევანი] სასწრაფოდ გამოიძახა და ველარ შეძლო აღსარების თქმა. თუმცა ამავე მამას⁷⁵ მან⁷⁶ რამდენჯერმე მისწერა ისპაჰანიდან, სთხოვდა, რომ მას მიეწერა მისი უწმინდესობისთვის ზემოთ ჩამოთვლილი თხოვნები, ბოლოს კი უბრძანა თავის ვაჟს⁷⁷, რომელიც ამჟამად საქართველოს მართავს, შესაბამისი წერილი დაეწერა. [ვაჟმა] მის კათოლიკე ბიძასთან⁷⁸ ერთად დაწერა ეს წერილი ჩვენი მეუფისთვის. ამ მიზნით მან⁷⁹ გაუგზავნა თავის ვაჟს ცარიელი ფურცელი, რომელსაც მისი ბეჭედი ესვა და მისი კათოლიკე ბიძის საშუალებით, თხოვნით მიმართა თბილისის მისიონის პრეფექტს, რომ მიეღო იგი სავარდისა და წმინდა საფლავის საზოგადოებაში, რათა ეჩვენებინა, რომ მთელი გულით მიიღო წმინდა სარწმუნოება. ამის გამო, ხსენებული მამა ალესიო წერილით ითხოვს, რომ: პირველი - მისმა უწმინდესობამ გაიღოს მოწყალება და მიმადლოს მეფეს ის, რასაც ითხოვს, მიანიჭოს ის, რაც კათოლიკური რელიგიისა და ამ მისიის უპირატესობაა, მითუმეტეს რომ ვაჟი მთავარი,⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული წესისაა, მამამისის გაკათოლიკების ხილვის შემდეგ, კათოლიკეთა და მისიონერთა ისეთი მოწინააღმდეგე აღარ არის [როგორც უწინ] და ყურსაც არ უგდებს მათ⁸¹ მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით - იერუსალიმის ბერძენ პატრიარქს⁸², რომელიც მას აძალებდა, რომ მისიონერები საქართველოდან გაეყარა - ამბობს ხსენებული მამა. მეორე - ჩვენმა მეუფემ, ან წმინდა კონგრეგაციამ წერილი მისწეროს ხსენებულ მთავარს⁸³ და მადლობა გადაუხადოს იმისთვის, რაც კათოლიკეთათვის გაუკეთებია, სთხოვოს დაიცვას ისინი მომავალშიც. ამასთან დაკავშირებით, ბატონი სეკრეტარი ამბობს, რომ

72 იგულისხმება მისი ქრისტიანული აღმსარებლობა.

73 იგულისხმება ალესიო მილანელი.

74 იგულისხმება ქართლის ჯანიშინი ლევანი.

75 იგულისხმება ალესიო მილანელი.

76 იგულისხმება ლევანი.

77 იგულისხმება ვახტანგ VI (1675-1737 წ.წ.).

78 სავარაუდოდ, იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წ.წ.).

79 იგულისხმება ლევანი.

80 იგულისხმება ვახტანგ VI.

81 იგულისხმებიან კათოლიკეები.

82 სავარაუდოდ, იგულისხმება იერუსალიმის ბერძენი პატრიარქი დოსითეოს II (1669-1707).

83 იგულისხმება ვახტანგ VI.

1688 წლის 14 მაისს პაპმა ბრევე მისწერა საქართველოს მეფეს⁸⁴ რომელშიც სიხარულს გამოხატავდა იმის გამო, რომ მან უარყო მუჰამედის სექტა და იღებდა მას წმინდა დედა ეკლესიის წიაღში.

დანართი N5: საარქივო მინაწერი ლევანის საქმესთან დაკავშირებით

საარქივო იდენტიფიკატორი: ASPF, SOCG, vol. 364, ff. 398r

398r:

S. Congregazione: Una lettera al medesimo Principe, con ringratiarlo di quanto ha fatto a favore de Cattolici e pregarlo a proteggerli anco in avvenire.

Intorno è che dice Monsignor Segretario, che sotto li 14: Maggio 1688: fù ad insinuatione di questa S. Congregazione scritto dal Papa al Rè di Giorgia in cui li rallegrava, che avesse abiurata la Setta Maomettana e che lo riceveva nel grembo della Santa Madre Chiesa.

საარქივო ჩანაწერის ქართული თარგმანი:

398r:

წმინდა კონგრეგაცია: წერილი იმავე პრინცთან⁸⁵, მაღლიერებით იმის გამო, რაც კათოლიკეთა გულისთვის გააკეთა და თხოვნით - მომავალშიც მფარველობა გაუწიოს მათ.

ამასთან დაკავშირებით მონსინიორ მდივანი ამბობს, რომ 1688 წლის 14 მაისს, ამ წმინდა კონგრეგაციის მინიშნებით, პაპმა მისწერა ბრევე⁸⁶ საქართველოს მეფეს⁸⁷, რომელშიც სიხარულს გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ მან უარყო მუჰამედის სექტა და რომ მას წმინდა დედა ეკლესია თავის წიაღში იღებდა.

დასკვნა

ამრიგად, ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს არქივში მიკვლეულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც ირანში მძევლად წაყვანილი ქართველი ბატონიშვილის - ლევანის ცხოვრების ეპიზოდებს საინტერესო ინფორმაციით ავსებენ. ირკვევა, რომ ჯერ კიდევ საქართველოში მყოფ ქართველ უფლისწულს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რომის კონგრეგაციის წარმომადგენლებთან, კერძოდ, ალესიო მილანელთან. უმძიმეს პოლიტიკურ სიტუაციაში არსებული ქვეყნის მმართველის ასეთი დიდი სიახლოვე მისიონერებთან, არ შეიძლება მხოლოდ კათოლიკური აღმსარებლობისადმი მისი დაინტერესებით აიხსნას. ლევანი ვატიკანიდან

⁸⁴ იგულისხმება გიორგი XI.

⁸⁵ იგულისხმება ვახტან VI.

⁸⁶ იგულისხმება 1688 წლის 14 მაისს, რომის პაპის, ინოკენტი XI-ის (1611-1689 წ.წ.) მიერ გიორგი XI-სთან გამოგზავნილი წერილი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს მიხეილ თამარაშვილს. როგორც ირკვევა, გიორგი XI -ის წერილი რომის პაპს საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერმა, ანჯელო ფილინელმა გადასცა. ქართლის მეფე პაპს ისლამის დატოვების და კვლავ ქრისტეს სჯულის აღიარების შესახებ აცნობებდა, რის გამოც მას კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა მაღლიერების წერილი გამოუგზავნა (თამარაშვილი, 2011: 271).

⁸⁷ იგულისხმება გიორგი XI.

წარმოგზავნილი პატრების გულის მოგებით, რომის პაპის სახით მოკავშირის შეძენას ფიქრობდა, რომელიც დახმარებას გაუწევდა ირანის შაჰის მძიმე ზეწოლის ქვეშ მყოფ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლებს. შაჰმა ლევან ბატონიშვილი მალე ირანში გაიწვია. სარწმუნოებაგამოცვლილი ქართველი უფლისწული ერთხანს ციხეში ჰყავდათ დატყვევებული. იგი დასავლეთიდან დახმარების მიღების იმედს არ კარგავდა. ლევანს მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ ალესიო მილანელთან, ბოლოს კი მისიონერის რჩევით, გადაწყვიტა, რომ წერილი რომის პაპისთვის მიეწერა. ვინაიდან მას ირანში უთვალთვალეზდნენ, ბეჭდიანი ქაღალდი საქართველოში გამოუგზავნა თავის ძეს, ქართლის მმართველს - ვახტანგს. წერილი, რომის პაპის სახელზე, კაპუცინების მისიონის ხელმძღვანელის, ალესიო მილანელის კონსულტაციით, სავარაუდოდ, ლევანის ბიძაშვილმა - სულხან-საბა ორბელიანმა დაწერა. ალესიო მილანელს, ქართველი ბატონიშვილისთვის რომის პაპთან გარკვეული შუამდგომლობაც შეეძლო რომ გაეწია. ირანში გადახვეწილი ლევან ვახტანგის ძე რომის პაპს ცოდვების შენდობას და კათოლიკე მოძღვრის მიჩენას ევედრებოდა, თუმცა მისი მთავარი გზავნილი ქვეყნის გადარჩენისთვის დახმარების თხოვნა იყო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*. ტ. IV. თბილისი.

დამენია, მ. (2017). *საქართველოს კათოლიკური მისიების ევროპული წყაროები*. კადმოსი.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. (1940). ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I. თბილისი.

ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე). (2020). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. ტფილისი.

თამარაშვილი, მ. (2011). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. თბილისი.

თოგოშვილი, გ. (1969). *საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს.* თბილისი.

კვაშილავა, კ. (2020). *გიორგი XI. ქაიხოსრო*. თბილისი.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1973). ტ. IV. თბილისი.

საქართველოს ისტორიის ქრონიკები. (1980). XVII-XIX ს.ს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ა. იოსელიანმა. თბილისი.

- საქართველოს სიძველენი. (1916). ტ. II. ექვ. თაყაიშვილის რედ. თბილისი.
- ქავთარია, მ. (1960). ლევანი - ქართლის ჯანიშინი. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*. ტომი XXV. #4.
- ქართლის ცხოვრება. (1959). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1979). ტ. 4. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ნ. (2020). ქართლის სამეფოს ბაგრატიონან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. როგორი თანმიმდევრობით განაგებდნენ ბაგრატიონები ქართლს XVI-XVIII საუკუნეებში. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. XVI.
- Alemanno, A. (1998). La Confraternita del SS. Sacramento e Rosario di Mottola. Mottola.
- Archivio Storico di Propaganda Fide (ASPF), Scritture Originali riferite nelle Congregazioni Generali (SOCG), vol. 564 (2 Ottobre, 12 e 26 Novembre e 17 Dicembre, 1708), ff. 385r-402.
- Kowalsky, M., Metzler J. (1988). Inventario dell'Archivio Storico della Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o 'de Propaganda Fide'. Urbaniana University Press.
- Messina, P. (1994). Dizionario Biografico degli Italiani, Vol. 44. Fabroni, Carlo Agostino.
- Les présents de Louis XIV offerts pour le Saint-Sépulcre de Jérusalem. (2011). Terre Sainte. N2. <https://www.terresainte.net/2011/03/les-presents-de-louis-xiv-offerts-pour-le-saint-sepulcre-de-jerusalem/>

REFERENCES

- Batonishvili, V. (1973). Description of the Kingdom of Georgia. *The Georgian Chronicles. Text compiled according to all the primary manuscripts of S. Kaukhchishvili*. Vol. IV. Tbilisi.
- Damenia, M. (2017). *European Sources of the Catholic Missions of Georgia*. Kadmos.
- Documents from the Social History of Georgia*. (1940). Edited by N. Berdzenishvili. Vol. I. Tbilisi.
- European Sources Regarding Georgia* (18th Century). (2020). Italian and Latin texts translated, introduction and notes added by Murman Papashvili, Eldar Mamistvalishvili and Zurab Gamezardashvili. Tbilisi.
- Tamarashvili, M. (1902). *History of Catholicism among the Georgians*. Tbilisi.
- Tamarashvili, M. (2011). *History of Catholicism among the Georgians*. Tbilisi.
- Togoshvili, G. (1969). *Georgian-Ossetian Relations in 15th-18th Centuries*. Tbilisi.

Kvashilava, K. (2020). *Giorgi XI. Kaikhosro*. Tbilisi.

Essays on the History of Georgia. (1973). Vol. IV. Tbilisi.

Chronicles of the History of Georgia. (1980). 17th-19th Centuries. The texts were prepared for publication, research, notes and search terms were added by A. Ioseliani. Tbilisi.

Georgian Antiquities. (1916). Vol. II. edited by Ekvtime Takaishvili. Tbilisi.

Kavtaria, M. (1960). Levani - Viceroy of Kartli. *Moambe of the Academy of Sciences of Georgian Soviet Socialist Republic*. Vol. XXV. #4.

The Georgian Chronicles. (1959). The text was prepared according to all the primary manuscripts by S. Kaukhchishvili. Vol. II. Tbilisi.

Georgian Soviet Encyclopedia. (1979). Vol. 4. Tbilisi.

Javakhishvili, N. (2020). For the Clarification of the Chronological Order of the Bagrationi Rulers of the Kingdom of Kartli. In What Order Did the Bagrationis Rule Kartli in the 16th-18th Centuries. *Proceedings of the Institute of Georgian History of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*. XVI.

Alemanno, A. (1998). *The Confraternity of the Most Holy Sacrament and Rosary of Mottola*. Mottola.

Historical Archives of Propaganda Fide (ASPF). Original Writings Referred to in the General Congregations (SOCG), vol. 564 (2 October, 12 and 26 November, and 17 December 1708), ff. 385r-402.

Kowalsky, M., & Metzler, J. (1988). *Inventory of the Historical Archives of the Congregation for the Evangelization of Peoples or "de Propaganda Fide"*. Urbaniana University Press.

Messina, P. (1994). *Biographical Dictionary of Italians*. Vol. 44. Fabroni, Carlo Agostino.

The Gifts of Louis XIV Offered to the Holy Sepulchre of Jerusalem. (2011). Holy Lands, N2. <https://www.terresainte.net/2011/03/les-presents-de-louis-xiv-offerts-pour-le-saint-sepulcre-de-jerusalem/>

GIORGI SOSIASHVILI, TATIA MTVARELIDZE

DOCUMENTS ABOUT KARTLI REGENT LEVAN PRESERVED IN THE VATICAN PROPAGANDA FIDE HISTORICAL ARCHIVE

Abstract

The scientific project submitted by the research team from Gori State University - "Research on Georgian and Georgia-Related Scientific Sources Preserved in the Vatican Propaganda Fide Historical Archive" (project code: HE-22-2353; Head of the project, Doctor of History, Professor Giorgi Sosiashvili; Project coordinator, master of philology, Tatia Mtvarelidze; Scientists participating in the project: Doctor of History, Professor Eldar Mamistvalishvili; Doctor of History, Professor Murman Papashvili; Doctor of Philology, Natia Mirotadze; Doctor of Philology, Nino

Dianosashvili; Master of Philology, Tamar Koshoridze) was funded in 2022 by the Shota Rustaveli National Science Foundation, within the framework of the Grant Competition for scientific Research on Georgian Material and Spiritual Heritage in Georgia and Abroad (HE-2022).

The financing of the scientific project was preceded by the official visit of the President of Georgia, Salome Zurbashvili, to the Holy See. Following a meeting with His Holiness Pope Francis, the Vatican authorities expressed full support for Georgian scientists in their research endeavors within the Vatican archives and libraries, culminating in the signing of a memorandum of cooperation between Georgia and the Vatican. This document grants Georgian researchers unrestricted access to conduct research. The aforementioned project, funded by the Rustaveli National Science Foundation, is overseen by the Ministry of Education, Science, and Youth Affairs of Georgia. Its primary aim is to uncover previously unknown documents related to Georgia, preserved in the Vatican's Propaganda Fide Historical Archive, and present them to the public. In addition to this support, the Tamaz Bekaia Educational Foundation has emerged as a sponsor, providing accommodation for the Georgian scientists involved in the project by renting an apartment in Rome, Italy, for the project's duration. In April 24-26, 2023, an official visit to the Vatican was conducted in connection with the preparatory work for the project. The delegation from Georgia included Giorgi Sosiashvili (then rector of Gori State University), Zurab Zurabashvili (Head of the International Service of Gori State University), Tatia Mtvarelidze (researcher and coordinator of the project), and Levan Bekaia (Head of the Tamaz Bekaia Educational Foundation). The meeting between the Georgian working group and representatives of the Propaganda Fide Historical archive was organized by the Embassy of Georgia to the Holy See, with direct involvement from the ambassador, Ketevan Bagrationi-Mukhranbatoni. The official meeting took place within the Propaganda Fide Historical Archive itself. The meeting was attended by Don Flavio Belluomini, the director of the archive, and Valentina Karakhanian, the archivist. The representatives of the Propaganda Fide Historical Archive presented seven archival volumes from their collection that contain documents related to Georgia. These documents primarily consist of reports sent to the Congregation for the Evangelization of Peoples by Catholic missionaries working in Georgia, written mainly in Italian. Additionally, the collection includes letters written in Georgian language by Georgian kings and dignitaries, addressed to the Popes and Cardinals. Some of these letters have already been published by Georgian scholars. According to the Propaganda Fide Historical Archive representatives, aside from these seven volumes, materials concerning Georgia are scattered across various collections within the Archive, indicating that further significant sources may still be uncovered. Numerous documents about Georgia remain housed within the archive, many of which are in Italian, with others written in Georgian, Latin, French, Greek etc. These reports, mostly authored by Catholic missionaries, document their travels to Georgia and other Eastern countries during the XVII-XIX centuries. There are numerous texts within the archive that, while not directly focused on Georgia, contain valuable information about the re-

gion. These texts, part of the reports sent to the Vatican by missionaries dispatched by Propaganda Fide Congregation to promote Catholicism, primarily address the spread of the Catholic faith. However, they also review the political situation of Eastern countries, describe the lives of various individuals, and assess the outcomes of Catholic missionary efforts. Some of these reports include highly significant information about Georgia, particularly regarding its political, economic, social, and cultural life during a period of division into separate kingdoms. In addition to the documents written in Italian and Latin, the Propaganda Fide Historical Archive also preserves letters written in Georgian. These letters, sent by the kings, princes, clergymen and noble families of a politically fragmented Georgia during times of hardship, sought aid from the West, seeing the Pope of Rome as the key figure capable of coordinating Western political forces. This context explains why the spread of Catholicism became increasingly relevant in Georgia during the seventeenth and eighteenth centuries. The development of a strategy for the propagation of Catholicism in the East was entrusted to The Congregation for the Propagation of the Faith (Propaganda Fide), operating under the directives of the Vatican. In their attempts to leverage the Vatican's interest in spreading Catholicism, Georgian monarchs and nobles, besieged by Islamic states and facing dire circumstances, sought to utilize this opportunity to their advantage. Consequently, Catholic missionaries were able to cultivate a conducive environment for their work in Georgia.

As previously mentioned, the Vatican archives house numerous letters sent from Georgia by its monarchs and nobles, alongside documents in foreign languages. Many of these correspondences are already recognized within Georgian historiography. It is noteworthy that while many esteemed researchers have examined other archives, M. Tamarashvili's contributions stand out. His significant efforts salvaged a vast array of documents, both Georgian and non-Georgian, from potential obscurity. His work culminated in the publication of the invaluable volume titled "History of Catholicism among Georgians", which serves as a priceless resource for future generations. Several scholars have continued the work initiated by M. Tamarashvili, including D. Gamezardashvili, I. Tabagua, M. Papashvili, E. Mamistvalishvili, J. Vateishvili and others. These researchers have contributed to the academic discourse by introducing historical documents, reports, and records of Catholic missionaries into our scholarly circulation. However, it is important to note that many documents written in foreign languages (such as Italian, Latin, Greek, Persian, Armenian etc.) and in Georgian remain unknown and await discovery. Numerous documents that M. Tamarashvili copied by hand or summarized for his audience still require thorough examination. Within some letters, mechanical inaccuracies may be concealed, and certain sections may have been omitted to expedite the copying process. A comprehensive analysis of these materials is likely to illuminate various historical facts and events that have yet to be clarified.

Therefore, with the presented article we aim to begin the process of publishing previously unknown or little-known documents preserved in the Propaganda Fide Historical Archive. This endeavor is anticipated to be of significant interest to researchers studying the history of late medieval Georgia.

The letter preserved in the Propaganda Fide Historical Archive was dispatched by Levan Batonishvili, the youngest son of Vakhtang V Shahnavaz (1658-1675), from Georgia to Pope Clement XI, the head of the Catholic Church. During this period, Kartli had been conquered by Iranian forces, and an Iranian garrison was stationed in Tbilisi, oppressing the Christian Georgians. Following the death of Vakhtang V Shahnavaz, Giorgi XI ascended to the royal throne of Kartli with the Shah of Iran's permission, although he struggled to adapt to Iranian rule. Levan Batonishvili's letter reveals that the king of Kartli faced humiliation at the Persian court due to the mistreatment of Georgian peasants by Iranian authorities. The Shah demanded that the king of Kartli send his younger brother Levan as a hostage. Consequently, Levan was sent to one of Iran's fortresses. The Batonishvili family, fearing the possibility of captivity, fled from Georgia. In his correspondence to the Pope, Levan articulates the significant hardships and suffering he endured during this tumultuous period. He was compelled to renounce Christianity and convert to Islam; however, he emphasized that this conversion was only outward, deeply affecting the Georgian prince. The Shah, recognizing Levan Batonishvili's conviction in the superiority of the Roman Catholic Church, monitored him closely. In response to his precarious situation, Levan requested that the Pope designate a Catholic clergyman to assist him, although this clergyman would need to wear secular clothing to avoid raising suspicions of re-Christianization, which could provoke the Shah's anger and pose a significant risk to his family.

Although Levan did not have family with him in Iran, he mentioned in his letter that his family had "fled" from Georgia out of fear of capture, indicating that the threat of their apprehension by Iranian forces persisted. Within the Propaganda Fide Historical Archive, particularly in the file containing Levan Batonishvili's letter written in Georgian and sent from Georgia, there are additional documents pertaining to the Georgian prince's exile in Iran. Notably, these documents were collectively discussed during a general meeting of cardinals on November 26, 1708. Alongside Levan's letter, there is a summary report of the case, a record of the council's decision, and, most significantly, an explanatory letter from Alessio da Milano, a Capuchin missionary closely associated with Levan Batonishvili. This letter provides additional context to the information contained in the Georgian prince's correspondence, shedding further light on the political situation in Kartli, the representatives of the Bagrationi royal family under pressure from Iran, etc.

The history of the creation of Levan Batonishvili's letter is also interesting. The documents accompanying the letter reveal that Levan, being in Isfahan, sent a signed and sealed blank sheet to Vakhtang VI and probably Sulkhan-Saba Orbeliani and asked them to write a letter to the Pope on his behalf. The information presented in the archival documents and the comparative analysis of calligraphy attested that the letter of Levan was most probably written by Sulkhan-Saba Orbeliani.

Keywords: Vatican Archives, Propaganda Fide, Missionaries in Georgia, Levan of Kartli, Vakhtang VI, Alessio da Milano, Catholicism.